


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, **13** იანვარი, 2015 წელი.
№5 (7650)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ტერორიზმი და ექსტრემიზმი სააკაშვილისეზურად!..

ანუ, ვაი შე დაუსველო სიფყვისა და გამონაბვრის თავისუფლება!

შნიხები...

ვის და რას აღარ იცავენ ასოები? ყველას და ყველაფერს, ლგბტ-პედერასტებით დაწყებული და მანანალა ძაღლებით დამთავრებული! ერთადერთი, ვისაც და რასაც არ იცავენ და ფეხებზე ჰკიდიათ, ეს საქართველოს, ქართველი ერის ინტერესები და უფლებებია!

© ავი გუსაივი

გლანდების ამოკვეთა სნორი ნანლაპიდან?!

ამხანაგო გუგული, კგაო ორჯონიკიძე!

ახლა მე გეკითხებით თქვენ, მორალზე მოფიქრებო ქალბაგონო, – როგორ მოვიქცეთ – კაცები ჩავიცუცქოთ თუ ქალები წამოვაცუნოთ ფეხზე?! აი, ამბზე გმართებთ დაფიქრება და იმის გარკვევა, თუ რომელი პოზა უფრორე მორალურია! ხოლო მეცნიერების გარდაქმნაზე ფიქრს კი გირჩევთ, თავი დაანებოთ, ასე აჯობებს თქვენთვისაც და მეცნიერებისთვისაც!

მობილურზე საუბარი არ გაინაფდება ②

როგორ შევაბრუნოთ ფორტუნის ბორბალი ⑫

„ნაკანბიპარი“ ანაკლიის გამოსოსნლების ეტაპი გვიანდება ⑪

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვგაბან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი ისტორიულ კოლეგასთან პირისპირ უხეშობრა გაბარდა



საპარტიო მდივან-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ვიზიტად მყოფ ესტონეთის პრემიერ-მინისტრს ტავე რიივას შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის

და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ესტონელ კოლეგას თბილისში ვიზიტისთვის, რაც საქართველოს მიმართ გამოხატულ მხარდაჭერად შეაფასა.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებზე.

საპარტიო მდივან-მინისტრის ტავე რიივასი ეწვია. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საპარტიო სტუმარს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვიციანი შეხვდა. ესტონეთის პრემიერის დახვედრის ოფიციალური ცერემონია მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართდა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ესტონეთის პრემიერ-მინისტრ ტავე რიივასისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პირისპირ შეხვედრა, რის შემდეგაც გაფართოებული მოლაპარაკებები გაიმართება. ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

პრესსამსახურის ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრის მთავარი თემები იყო: ორი ქვეყნის მრავალმხრივი ურთიერთობების საკითხები, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესები

ტარიფი

რას გინდათ, ის ქანით, ფასს არ ღაჯაკლებთ!

მოპილურზე საუბარი არ გაიაფდება

მომპილურში ოპერატორები ტარიფის გათვალისწინებულ არააბრუნებენ. იმის მიუხედავად, რომ 1 იანვრიდან ურთიერთობის ტარიფი 1,5 თეთრით შემცირდა, მათი პოზიცია ერთსულოვანია. კომპანიები საუბარს არ გააიფებენ. ახლად, 3,5-თეთრიანი ტარიფი 4 მოპილურ ოპერატორს „მაგთიკომს“, „ჯეოსელს“, „ბილიანს“ და „სილქნეტს“ დაუწესდა.

როგორც კომპანია „ჯეოსელში“ აცხადებენ, საბითუმო ტარიფებით აბონენტები არ სარგებლობენ, მისი მომხმარებლები ავტორიზებული პირები („ჯეოსელი“, „მაგთი“, „ბილიანი“) არიან, შესაბამისად ურთიერთობის ტარიფების ცვლილება აბონენტებზე არ აისახება.

„კომპანია თავის აბონენტებს მუდმივად სთავაზობს სხვადასხვა ხელსაყრელ სატარიფო გეგმას და მომგებიან პაკეტებს სასაუბრო დროისა და ინტერნეტის მოხმარების თვალსაზრისით, რაც ითვალისწინებს მაქსიმალური მომსახურების მიღებას მინიმალური დანახარჯებით“, — აღნიშნავენ კომპანია „ჯეოსელში“.

„მაგთიკომშიც“ აცხადებენ, რომ ურთიერთობის ტარიფის ცვლილება ერთმნიშვნელოვნად არ იწვევს საცალო ტარიფის ცვლილებას. კომპანიაში განმარტავენ, რომ საცალო ტარიფის ცვლილება დამოკიდებულია ზოგადდ ბაზრის მდგომარეობასა და კონკურენციასა.

კომპანია „ბილიანის“ წარმომადგენელი კი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ახალი ტარიფის ამოქმედების მიუხედავად, მათ შემცირებული ტარიფის შეთავაზება აბონენტებისთვის 2 თვით ადრე დაიწყეს. „ჩვენი პოლიტიკა დაბალანსებულია და თუ ერთ შემთხვევაში ნაკლები ტარიფს ვთავაზობთ მომხმარებელს, მეორე შემთხვევაში ამას სხვა პროდუქტით ვაბალანსებთ“, — აღნიშნავენ „ბილიანში“.

შეგახსენებთ, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გა-

დაწყვეტილებით, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებისთვის 2015 წლის 1 იანვრიდან ურთიერთობის ტარიფი 5-დან 3,5 თეთრამდე შემცირდა. კომისიამ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბაზრის კვლევის საფუძველზე, ტარიფს რამდენჯერმე გადახედა და ეტაპობრივად, 22,8-დან 3,5 თეთრამდე დაიყვანა.


„უკვე აშკარაა, რომ აბონენტებისთვის საუბარი არ გაიაფდება. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ, შესაძლოა, საქმე გვექონდეს კარტელურ გარიგებასთან. რაც უფრო გვიან აისახება ტარიფის ცვლილება, მით უფრო დაიგვიანებს აბონენტებამდე ამ სიკეთის მიტანა. თითოეული მოქალაქის ჯიბიდან უფრო მეტი თანხა დაიხარჯება და ამით მხოლოდ „მაგთი“, „ჯეოსელი“ და „ბილიანი“ იხეირებენ.

2014 წლის აგვისტოს მონაცემებით, მათი საცალო შემოსავალი თვეში 42 მლნ ლარს გასცდა, საიდანაც 36 მლნ ლარი უშუალოდ განხორციელებულ ზარებზე მოდო. აგვისტოს ჩათვლით, მოპილური ოპერატორების შემოსავლებმა უკვე 305,8 მლნ ლარს გადააჭარბა.

2013 წელს საქართველოში მოპილური კომპანიების აბონენტების რიცხვმა 4 993 119 შეადგინა, რაც 6,3%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს. 2013 წელს, აბონენტების რაოდენობით, „მაგთიკომი“ ლიდერობს — 42,8%, „ჯეოსელს“ — 33,9%, უკავია, „მოპილტელს“ — 22,6%, ხოლო „სილქნეტს“ — 0,6%.

სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ რამდენიმე კვირის წინათ აცხადებდა, რომ თუკი 1 იანვრიდან ტარიფი არ გაიფხვრებოდა, იგი კონკურენციის სააგენტოს საკითხის შესწავლისა და კანონის შესაბამისად მოქმედების თხოვნით მიმართავდა.

გამა დაწვინა



ინფორმაცია

ქაზა გამოაცხადა

როგორც ინტერპოლის ვებგვერდზე აღნიშნული, ვიქტორ იანუკოვიჩი ძენა უკრაინის სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე გამოცხადდა. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის არსენი ავაკოვის განცხადებით, უკრაინულმა მხარემ ინტერპოლს ყოფილ პრეზიდენტს ძენის გამოცხადების თხოვნით რამდენიმე თვის წინ მიმართა.

ინტერპოლმა ძენა გამოაცხადა უკრაინის ყოფილ პრემიერზე, ნიკოლა აზაროვზეც.

დედაბაბაძი

ქუჩა, რომელიც ლამის მტკვარში ჩაიშალა

წლების განმავლობაში თბილისის ცენტრში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერი — მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა (ყოფილი ელბაქიდის აღმართი), ფრონტისპირა ქალაქის ქუჩას უფრო შავდა, ვიდრე თავმოყმონე დედაქალაქის ცენტრალურ უბანს.

როგორც ამბობენ, წლების წინ თბილისის მერიამ ეს უბანი თითქმის მთლიანად, №21-ის გარდა, სადაც დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ბინა-მუზეუმი, უცხოელ ინვესტორს მიჰყიდა და ამის შემდეგ ქუჩის მტკვარზე გადამყურე მხარე ყოველგვარი ყურადღების გარეშე იყო მიტოვებული. მთელი სამუშაო იქ მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ დაზარეული სახლების მხოლოდ საღი ბრტყელი აგური, კიდევ გამოსადეგი ხის მასალა და ვარითი გამოიტანეს, ნანგრევები კი ბეტონის ფილებით შენიღბეს.

არადა, იმას რა დიდი გეოლოგობა სჭირდებოდა, რომ ვერის უბნის ეს მტკვრისკენ დაქანებული ფერდობი გრუნტის წყლების აქტიური მოძრაობის ზონაა. პოდა, წლების მანძილზე ამ გრუნტის წყლებმა თავისი საქმე გააკეთეს, რასაც, ფაქტობრივად, უმეტესად უწყურე მიტოვებული სანიადრე-საკომუნიკაციო სისტემის გაუმართაობა, მისი ღია ცის ქვეშ ყოველგვარი ტექნიკური ზედამხედველობის გარეშე მიტოვება დაერთო და 12 იანვრის დილით, სწორედ იმ №21 სახლის მიმდებარედ, რომელშიც ამჟამადც ხალხი ბინადრობს, ქუჩის ნაპირის 25 მეტრის სიგრძის მონაკვეთი ჩაინგრა. ამ შემთხვევას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. იქაურ ბინადართა თქმით, გრუნტის წყლების გარდა ყველა-

კაკალ გულში წერტილოვანი ფრაზები

● ისე, ბრევივი რატომ არ ახსენდება დღეს არავის? აი, ის ნორვეგიელი, 70-ზე მეტი მოზარდი რომ დახოცა, ტყუილბრალად?

● აი, ის ბავშვები (მათ შორის, ერთი ქართველი გოგონაც), მართლაც რომ ტყუილბრალად დახოცა, არა „ველურმა“ ფუნდამენტალისტმა, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქემ.

● თუ რამე დურაკულდრაკონული კანონის მიღება უნდათ, პარასკეობით ახმინებენ. შაბათ-კვირას სანიფორმაციოები ისე დატვირთვით არ მუშაობენ. არადა ეს მეტოდი მიშამ დანერგა!

● „რუსთავი-2“-ზე ხულო იგლეისასი, სოფო ნიუარაძე და ნიკა რაჭველი ბათუმში კონცერტს ატარებენ.

● სასწრაფოდ გადავრთე, შემეშინდა მიშა არ გაჩითოს და ახალი წელი არ მოგვილოცოს-მეთქი!

● ზალიკო სულაკაურმა (პატივისცემ, ცნობილი კარიკატურისტი და მაგალითისთვის მომავალს) ჩვენი წმინდანების (წმინდა ნინო, წმინდა გიორგი, წმინდა ბარბარე...) გამოხატულებით კაპიტლისმადგირი პორნოკარიკატურების ხატვა რო დაიწყო, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება იქნება ეგა? je suis zaliko!

● ესეც თქვენი გენდერული ბალანსი:

● ცოტა ხნის წინათ ანა ნაცვლიშვილი გაკოჟორიქვდა, ახლა კიდევ ანა რეხვიაშვილი გავაჭარაძებულა.

● ბევრი რამ ხდება, პორაცია, ქვეყნად ისეთი...

● „რუსთავი-2“, იცით, როგორ პონტშია? ქელეხის სამზადისში, არაფრის მაქნისი, მაგრამ აქტიური ტიპები რომ გარბი-გამორბიან და ყველას ფეხებში ედებინ...

● პოლიტიკოსებში ძალიან გავრცელებულ ფრაზაზე მინდა, ვთქვა ორიოდე სიტყვა. როდესაც გამოდიან და დიდის ამბით ამბობენ, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ ამა თუ იმ პროცესის შედეგებზე. ამას ხშირად, უკვე შედეგების დადგომის შემდეგაც ამბობენ ხოლმე და აქეთ გვედ-

ბენ შარს, რაღა გინდათ, პასუხისმგებლობა ხომ ავიღებთ?

ძალიან კარგად ვიცი, რომ ბევრ მათგანს არც კი ესმის, რას ნიშნავს პასუხისმგებლობის აღება, რეალურად, მაგრამ მხატვრული ლიტერატურადან მინც ხომ უნდა იცოდნენ? ან „გამზრდელი“ უნდა ესწავლათ სკოლაში, ან „ხევისხერი გოგა“ და „მატეო ფალკონე“ წაეკითხათ.

შეიძლება ამ ნაწარმოებების პერსონაჟებით რადიკალურ გზას არ მიმართონ, მაგრამ რაღაც ფორმით ხომ უნდა აგონ პასუხი საკუთარ სიტყვებზე, სულ მცირე, სკამით მაინც?

არა, მათ ესეც არ უნდათ. მაგალითად, ბატონი მიხეილ სააკაშვილი და მიხეილ მაჭავარიანი შევადრნაძის პერიოდიდან იღებენ „პასუხისმგებლობას“ თავიანთი „მოღვაწეობის“ შედეგებზე, მაგრამ მათგან რეალური მონანიების სიტყვებიც კი არ სმენია არავის. ისინი კვლავ ჭკუას გვარიგებენ და კვლავ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებიან.

● ეტყობა, ჩვენი ბრალია, ასე რომ გვასხედან თავზე და ყველაფერს კადრულობენ; ჩვენი ბრალია, როდესაც ნაცმოძრაობის ხელმძღვანელებს თავზე არ გადავახებით მათი ლოზუნგები, „საქმე — ლაპარაკის ნაცვლად“ და „მეტი სარგებელი ხალხს“, ანდა ნოდარ ხაფურს უკან რომ არ ვუბრუნებთ იმ ბიუჯეტს, სადაც პენსიის გაზრდა 2015 წლის სექტემბრიდანაა გათვალისწინებული, თანაც 10 ლარით.

● როდესაც მენაღმე საკუთარი სიცოცხლით აგებს პასუხს შეცდომაზე, მან იცის ამის შესახებ და შეგუებულა, რომ პროცესის არჩევა, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუფუდეს. ასე უნდა იყოს პოლიტიკაშიც და არ შეიძლება ერთიადიგივე, ათპარტია-გამოცვლილი და ათასჯერ „შემცდარი“ ხალხი კვლავ პოლიტიკოსობაზე ფიქრობდეს, როდესაც მათთვის საკუთარი ქვეყანაც და საკუთარი ხალხიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქვლეუბის საშუალებაა.

ამოკრება
გია ბაბრიძე



ფერ ამაში უდავოდ დიდი როლი შეასრულა სანიადრე-საკანალიზაციო ცენტრალური 500-იანი კოლექტორის გაუმართაობამ, რომელიდანაც დაბინძურებული წყლის ნაკადი წლების მანძილზე ზევიდან გადადიოდა. მათი განმარტებით, ყოველივე ამის თაობაზე ისინი წლების მანძილზე სრულიად უშედეგოდ მიმართავდნენ როგორც მთავრობის რაიონის გამგებებს, ასევე თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს.

საგანგებო შემთხვევის ადგილზე თბილისის მერი დავით ნარმანია, შესაბამისი სამსახურის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მივიდნენ. მომხდართან დაკავშირებით თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, კერძოდ, განაცხადა, რომ გზის ჩანგრევა, უმთავრესად,

მინისქვეშა კომუნიკაციების გაუმართაობის, ასევე მათი ფარული დაზიანების გამოც მობდა.

ყველაფერს გამოიძიება დაადგენს, რომლის შედეგების მიხედვით გამორიცხული არ არის, რომ შესაბამისი სამსახურის ზოგიერთი თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, — განაცხადა მერმა.

მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე სამანქანო მოძრაობა, დავით ნარმანიას თქმით, სავარაუდოდ, 2-3 თვეში აღდგება, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი მანამდე ფეხით მოსიარულეებს მოუწოდებს, რომ ამ ტერიტორიაზე გადაადგილებისგან თავი შეიკავონ.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა
ნადარიშვილი ფოტო.



სასიკვდილოდ გამოცხადებული ვალერი გელაშვილი



ღარბული „ნიადი“



აფეთქებული „დიდების მემორიალი“

მტრელი იარაღით პურიც შეიძლება რომ მოუჭრა მშვიერ ადამიანს და თვითონ ეს მშვიერი ადამიანიც შეიძლება რომ სასიკვდილოდ დაჭრა. დაახლოებით ასევე უმაღლესი თანამდებობის ადამიანის საქმეც. გაანჩია, რა ბუნებისაა, ბოროტებისკენ არის მიდრეკილი თუ სიკეთისკენ.

დღეს დროისაგან ცხადად გამოვლენებულია სააკაშვილის ბოროტი სახესაერთოდ კაცთა და მეტადრე იმპათი მოძულეობა, ვისაც ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების უპირველეს ფასეულობად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მიაჩნია. არადა, ცხოვრების ირონია ნახეთ – ვილაც-ვილაცებმა, რასაკვირველია, მოსყიდულმა ალხანებმა მომსყიდველ ჩაღბანას, დემოკრატიის შუქურის შარავანდედიც კი დაადგეს. მართალია, ხელოვნური, ყალბი, მაგრამ გამორჩენის მოყვარულ ზოგ-ზოგ მედროვეთა თვალში მაინც შარავანდედი.

მუსლიმ ტერორისტთაგან პარიზის ერთ-ერთი სატირული გამოცემის დარბევამ ლამის მთელი ქრისტიანული (თუ მუსლიმანურიც) სამყარო ფეხზე დააყენა. ბოროტების ჩადენას თუ ბოროტ შურისძიებას იქნებ თავისი მიზნები აქვს, მაგრამ ახლა ამის გარკვევის დრო არ არის. ტერორისტებმა თითქმის მთელი რედაქცია ამოწყვეტეს. სხვათაგან მოუსპეს სიცოცხლე და თვითონაც თავიანთ გაუკუღმართებულ მიზანს შეენიშნენ.

და მთავარი ბრალდება, რაც ამ გააგებულ ახალგაზრდებს არა მარტო საფრანგეთმა, არამედ მსოფლიომ წაუყენა, არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა, რასაც ბევრად მეტი სისხლის ღირსი მოჰყვა, ვიდრე ამ თავისუფლების დასაცავად და შესანარჩუნებლად ოფლი და მეღანი დახარჯულა.

როგორც ყველაფერი ამქვეყნად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფაც სხვადასხვანაირია. ზოგისა მკაცრი პასუხისმგებლობით ან სულაც სიკვდილით მთავრდება, ზოგისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, თავზე შარავანდედის დადგმით ანდა სულაც „დემოკრატიის შუქურა“ გამოცხადებით.

დღეს ამ უკვე ძებნილმა და „დემოკრატიის შუქურად“ გამოცხადებულმა, ამას წინათ მთელი ათი წელიწადი ჩვენი საცოდავად დაჯიჯგნილი ქვეყნის უმაღლესმა ამირსპასალარმა, ტახტზე ასვლისთანავე საქვეყნოდ განაცხადა, გაზეთები არც გამაგონოთ და არც დამანახვითო, მე არც ერთ ქართულ გაზეთს არ ვკითხულობო, და ერთ-ერთი პირველი „რეფორმა“ ის იყო, რომ იმ ცხელი ზაფხულის ერთ არამშვენიერ დილით ცუდ ფეხზე ამდგარმა კოლექტიურ ტერორისტად ქცეული პოლიციის საშუალებით გამოცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან უპატრონო ძაღლებით ქუჩაში გამოყარა ათობით რედაქცია, თითქმის სამი ათასი ადამიანი, რომელთაც ჟურნალისტობისა და მესტამბეობის გარდა, სხვა არცრა ხელობა ჰქონდათ, ბედის ანაბარა დატოვა. შენობა კი, ცხონებულს ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაშინდელ ეკონომიკის მინისტრს, ხორცმრავალ ბენდუქიძეს კარგა სარფიანად გააყიდვინა და დღეს იქ, უკვე სულ სხვა, ღმერთმა უწყის, რა დანიშნულებისთვის განახლებულ სრასახლში აგრერიგად ცხვირსაც არ შეგაყოფინებენ...

ყველაფერს რა ჩამოთვლის! მაგრამ ქუთაისში დიდოსტატ მერაბ ბერძენიშვილის გმირთა მემორიალის ბოროტგანზრახულად აფეთქება, რასაც დედა-შვილის სიცოცხლე შეენიშნა, განა დიდი ხელოვნის მიერ გამოხატვის თავისუფლების ტერორისტული აფეთქება არ იყო?! მერე რა, როგორც ჩანს, ტერორიზმი ხან „კომუნურიც“ შეიძლება რომ იყოს და ამდენად გამართლებულიც არის. ან, ყოველ შემთხვევაში, როცა ყოვლისშემძლე პატრონებთან საქმეში გადისარ, უმ-

ტერორიზმი და მსტრემიზმი სააკაშვილისეპურად!..

ანუ, ვაი შე დაუსველო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას!

მაკი სულ ტყუილად მოივარგებს ხახვს შენთვის ყურებზე დასაჭრელად.

ესე იგი, რა გამოდის? ზოგის ტერორიზმი ისევეა, ზოგისა კი ვილაც-ვილაცებისთვის განგებ შეუმჩნეველი რჩება. ის კი არა, არცთუ იშვიათად რეფორმატორობადაც ინათლება!

რაო, რაო? სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაო?! ეს, ბატონებო, საქართველოში მარტო ქალაქებში ეწერა. ისიც ძალიან უფერულად! თქვენ რა, დაგავინცდათ, მერაბიშვილის კოლექტიურმა ტერორისტმა პოლიციამ რა დღე დაანია მერე უკვე საეჭვოდ ნაკოდუარი პატარკაციშვილის კერძო ტელევიზია „იმედს?! აღარ გახსოვთ, რარიგ კიტრით იწონებდნენ თავს ამ არაადამიანური დარბევით ამირსპასალარ სააკაშვილის სპასუტები – ბოკურიები, თარგამაძეები, ჭიბურაშვილები, ბარამიძეები და იმათ ზურგს ამოფარებული წერეთლები და ცისკარიშვილები.

ერთი სიტყვით, როგორც პარიზის ტერაქტის შემდეგ „ალქაიდას“ ერთ-ერთმა ახალმა თავკაცმა განაცხადა, ბოლოს და ბოლოს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას საზღვარს დაუწესებო, მართალია, ასე პირდაპირ არ განუცხადებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ერთადერთი ბნელი მიზანი, როცა მასმედიას ამა თუ იმ დროს სხვადასხვა ხერხებით ებრძოდა, დიხაც ის იყო, რომ სიტყვისა და გა-

მოხატვის უფლებისა და თავისუფლებისთვის ერთხელ და სამუდამოდ გადაულახავი საზღვარი დაედგინა.

ანდა ნუთუ მართლა თვალწინ აღარ გიდგათ სააკაშვილის მიერ მიგზანთ ბანდიტთაგან მისიკვდილებელი პარლამენტარი ვალერი გელაშვილი, რომელიც გაბედულ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გამოყენებისთვის დღი-სით-მზისით ლამის გაღმა სოფელში გაისტუმრეს.

იქნებ არც 2007 წლის 7 ნოემბერი გახსოვთ, ანდა 2011 წლის 26 მაისი, როცა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის ზოგს თვალები დასთხარეს, ზოგს ნეკნები ჩაუმტვრიეს და ბევრიც სამუდამოდ დაახეობრეს?! ისე, 26 მაისს სააკაშვილის დემოკრატიის ნამსხვრევებში მოყოლილთაგან ორი მოკლული ახალგაზრდა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ერთ-ერთი შენობის სახურავზე იპოვეს, ვითომ რა ჩვენი ბრალია, იქ ამძვრალთ დენმა დაარტყაო...

ამ შაჰბასურ რბევა-გვემასა თუ გამეტებას მალე ფოტორეპორტიორთა გაჯაშუშება მოჰყვა, აბა, თუ არა ჯაშუში, სხვა ვინ გადაიღებდა იმ „დემოკრატიულ ცემა-ტყეპას“?! სხვა ვინ მოსდებდა მთელ მსოფლიოს სააკაშვილის „ვაჟ-კაციობისა და კაიკაციობის“ საგმრო ამბავთ?!

მაგრამ რა?! ვინმე შეიბერტყა ყური ევროპისა თუ ამერიკისა?! ანდა სულაც ვინმე აუწია ყური ამ ჩვენს ვაჟბატონ სააკაშვილს, რომელსაც, როგორც ჩანს, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია ეგ შენი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რადგან იმ „დემოკრატიის მამათა“ მსგავსად, ვისაც უთავმოყვარედ ევლასუნება და ეტორლალებდა, ამასაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თავისი სარფიანი გეგმა აქვს.

ასე რომ არ იყო, აწინდელი უკრაინის ნაციონალისტური ხელმძღვანელობა განა ასე გააღლებდა საკუთარი ქვეყნიდან გაძევებულ, ათას დანაშაულში მხილებულ და ეგრეთ ნოდებულ, წითელი ცირკულარით ძებნილი, უამრავი პატიოსანი ადამიანის თვალში აშკარად ჩამქრალ (ან როდის ენთო ნეტავი?! „შუქურას“, რომლისგანაც, სხვა ნაციონალისტთან ერთად, ჭკუის სწავლებას ცდილობს.

ყვავს რა პქონდა, ბუს გაპქონდაო, ჩემი აზრით, სწორედ ისეა ტერორიზმისგან არცთუ გამიჯნულ და ბუნებით აშკარად ავანტიურისტ სააკანთ ბიჭთან აგრერიგად ჩახუტება-დამოყვრების მონადინე და, როგორც ჩანს, სახელმწიფო მართავს „რეფორმატორულად“ ჯერჯერობით „გამოუცდელ“ უკრაინელ თავკაცობას.

იქნებ ყველაფერი ისე ვერ ვთქვი, რარიგადაც ეგებოდა თქმა, მაგრამ, რა ვქნა, მეც ხომ მაქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საყოველთაო უფლება!

გზურაბ ნიკლაური.

P. S. და რახან მსოფლიო ამჯერად ასე ხმამაღლა კიდეც ერთხელ ალაპარაკდა სიტყვისა და გამოხატვის, სწორედ-დაც ჯალათური ხელყოფისაგან, ჯალათურის გარდა სხვა სიტყვას ვერ ვიტყვი, აქ ერთი ძველი ისტორიული ფაქტი წამომგონდა, რაც თვალსაჩინოდ მეტყველებს, რომ სიტყვა მუდამ, ყველა დროში იყო უაღრესად ზუსტი სოციალური სეისმოგრაფი: იმპერატორი ნიკოლოზ პირველი გოგოლის „რევიზორის“ პრემიერას რომ დასწრება, ჩვენი პალატუხიჭამია ამირსპასალარისგან განსხვავებით, კი არ გადარეულა და პიესის ავტორს ან სპექტაკლის რეჟისორს კი არ დარეგია და თეატრიდან კი არ გაუგდია თავისი საქმის დიდოსტატ რობერტ სტურუასავით, არამედ ხალხის გასაგონად უთქვამს: ამ სპექტაკლით ყველას თავისი წილი მოხვდა, მაგრამ მე ყველაზე მეტი მოხვდაო. ცხადია, რომ ქვეყნის მბრძანებელი მიხვდა მართალი სიტყვის ძალას და, ეტყობა, იმისთვის ისიც ცხადი გახდა, რომ თუ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მანქანა ისე უხეიროდ ფუნქციონირებდა, თანამედროვე ტერორიზმი ვინც მართო, ეს უწინარესად თვითონ ქვეყნის ტოპ-მენეჯერის, ანუ ყველაფერზე პასუხისმგებელი მმართველის ბრალი იყო და არა მწერლის ან რეჟისორისა, რომელთაც ფარდა ახადეს მანამდე ამ ფარდით ჩაბნელებულ სინამდვილეს. ეს ისე, მაგალითისთვის, თორემ ჯალათობა ჩვენმა შადრევან პირველმა ცოტა იქნებ სულაც ნიკოლოზ პირველისგანაც ისწავლა. მაგრამ ხომ ხედავთ, როგორც ტერორიზმი, ჯალათობაც მრავალსახოვანია, ხან როგორც გამოვლენად და ხან როგორც ასე რომ დაუსჯელი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს. ჩვენს ქართულ შემთხვევაში კი საკადრისი სასჯელი, დიდად სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. პირიქით, ვილაც-ვილაცების, ანუ დიდფულიან ჯიბოსანთა ხელშეწყობით შადრევან პირველი აქეთ გვემუქრება... არა, მაინც როდემდე ველოდოთ ასე პირდაღებულები სამართალს?! მართლაც, ვაი, ვაი და ვაი!..

გ. წ.



ღარბული „სამშობლო“



2011 წლის 26 მაისი



2007 წლის 7 ნოემბერი

სიტყვა „შინი“ საბჭოთა ციხეების ფარგონით, დამლაგებელს, მრეცხავს, ერთი სიტყვით მოსამსახურეს, ხელისბიჭს, გენბავთ მონასნიშნავს, რომელთა ყოლის ექსკლუზიური უფლება-შესაძლებლობა საპატიმროებში, როგორც წესი, მხოლოდ ე.წ. კანონიერ ქურდებს და ზოგადად დამნაშავეთა, გენბავთ, შავი სამყაროს ავტორიტეტებს ჰქონდათ.

აქედან გამომდინარე თუ ზემოთ ხსენებულ „შინების ინსტიტუტს“ საქართველოს უახლესი ისტორიის, პოლიტიკურ კონტექსტში განვიხილავთ, საინტერესო აღგორიულ სურათს მივიღებთ:

(უხლეს ისტორიაში მხედველობაში ბოლო 10-15 წელიწადი გვაქვს. ანუ, 1999-2000 წლებიდან მოყოლებული ჟამი, როდესაც პოლიტიკურ-ეკონომიკურ-მორალურად დაუძლეველი რუსეთის გავლენა ამიერკავკასიაში, სრულად ჩანაცვალა აშშ-მა და როგორც სჩანს, ეგონათ რომ სამუდამოდაც, მაგრამ ამაზე ქვემოთ...)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში მხოლოდ ერთი „კანონიერი ქურდი“ (თუ ვინმეს „კო-

და ამიტომ იგი წლების მანძილზე ახერხებდა ამერიკა-რუსეთს შორის ბალანსირებას იმ მეტ-ნაკლები წარმატებით მაინც, რომ რუსეთს აზრადაც არ მოსვლია სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება!

სამაგიეროდ, გასული საუკუნის მინურულს მოახერხეს და ჟენია-საკაშვილის გუნდების სახით, ამერიკის შინების ოპოზიცია გაუჩინა სიბერეუკარულ და ამიტომ სიფხიზლემოდუნებულ თეთრ მელას – სერბეთში ფერადი რევოლუციის მთავარი შემოქმედი, მაშინდელი დესპანი ამერიკისა საქართველოში რიჩარდ მაილსი, როგორც ამბობენ, ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი კაბინეტიდან გააპანდურაო, მაგრამ, გვიანდა იყო თითზე კბენანი:

სოციალური გაჭირვებით, სიბნელესიცივით მოცულ საქართველოში, ამერიკის პოპულისტ შინებს:

ჟენია-საკაშვილებს, რესპუბლიკელ-ბერძენიშვილებს, მერაბიშვილ-ბოკერეებს, უგულავა-თარგამაძეებს და ა.შ. სხვა მრავალთ. მათი სახელი ლეგიონია, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ქვეყანაში რევოლუციის (ნაი-



ლე-იმედი! სამსჯარო, რადგან ეს ერთ დროს ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტელეკომპანია, დღეს თუკი ვინმეა საქართველოში, ბოდიში მაშინთვისა და ბოში თუ ჩათლახი, გარყვნილ-გათახსირებულ, ყველას დედიშობილად წამოპლავკის პოდიუმად ქცეულა „იმედის“ თეთრი და სირცხვილი ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს!

აშკარა შინების თავშესაფრად ქცეულან! საგანგებოდ უნდა ვთქვათ ე.წ. არასამთავრობო სექტორში ჩანერგილ არა მხოლოდ ნაცების, არამედ პირდაპირ ამერიკის შინებზე:

საქართველოში ამ ორგანიზაციების (ასო) რაოდენობა, რომლებიც დასავლეთიდან უხვად ფინანსდებიან, როგორც იტყვიან, ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცილდება!

ვის და რას აღარ იცავენ ასოები? ყველას და ყველაფერს ლგბტ-მედერასტებით დაწყებული და მანანალა ძალღებით დამთავრებული!

ერთადერთი ვისაც და რასაც არ იცავენ და ფეხებზე ჰკიდიათ, ეს საქართველოს, ქართველი ერის ინტერესები და უფლებებია! ამ ე.წ. ასოებს 3 ნამყვანი ეწვეოები თამადობს, რომელთა დასახელება არ მასხოვს და მხოლოდ მათ ლიდერებს წარმოგიდგინთ: კახა კოჭორიძე, ეკა გიგაური და ნინო ლომჯვარია.

თუმცა, ასოების აბრევიატურას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ასოების შიგთავსი, შინარსია, რაც გულისხმობს ყოველივე ანტიეროვნული აშკარა თუ ფარულ მხარდაჭერას, უკვე ყბადღებული, ადამიანის უფლებების დაცვის უნიჭო აკომპონენტით!

ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ ნანა დევდარიანმა ამას წინათ ამ „ტროიკას“ ერთგვარი კასტა უწოდა. მე კი უფრო მძაფრი ვიქნები – კასტა კი არა სექტაა, რომლის ლიდერთა კომენტარების გარეშე სიზმარის ვერ გვიწახავს ქართველებს!

ალარაფერს ვამბობ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, რომელთაც არსებობის ლეგიტიმაცია, მხოლოდ ამ სექტის ლიდერთა კომენტარების შემდეგ ენიჭებათ!

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ამ მართებით ბევრი არაფერი შეცვლილა. ერთადერთი ის არის, რომ ცოცხებით აღარ გვაუპატიურებენ და ქუჩებში აღარ გვხვებენ, რაც ნამდვილად არ არის ცოტა, მაგრამ ეს რომ არამხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, არამედ „ცოტადენი ბრალი“ პატრიოტთა ალიანსის ლიდერების დავით თარხან მოურავის და ირმა ინაშვილისაც არის, არა მგონია საკამათო იყოს!

ვერც იმის ატანა შეგეძლია, რომ კომპატიბიციის აკომპანენტში არა მხოლოდ ნაციები გადარჩნენ, არამედ მათი და მათი პატრონი ამერიკელების მიერ ჩანერგილი შინებიც ქველბურად აგრძელებენ მანებულურ ქმედებებს!

ეს კი, მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, მისი „ქართული ოცნების“ სისუსტის შედეგია!

ბიძინას ბრალია, იმ პირველი მოქალაქისა, რომელსაც აგრე უდროოდ, საღათას ძილით ჩასძინებია და სამსჯაროდ, გამოლეიქების სურვილის არანაირ სიმპტომებს არ ამჟღავნებს!

„ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, რესლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?..“

დავით მხიძი

შინებს...



ზანოსტრას“ ენაზე გენბავთ, „კაპო დი ტუტი კაპო“, ანუ ბოხების ბოსი), აშშ დარჩა და როგორც ციხეში შინებებით განვიგებულ ერთი განაბის (განაბი, იგივეა, რაც კანონიერი ქურდი) ძალაუფლება იქცევა ხოლმე უსამართლო „ზეზპრედელად“, ასევე დაემართა ევროკავშირის შინების მონურის მსახურებით განვიგებულ შეერთებულ შტატებსაც:

უკონტროლო ძალაუფლება, უსამართლო პოლიტიკურ-სამხედრო „ზეზპრედელად“ გადაიქცა ავღანეთსა თუ ერაყში, ლიბიასა თუ ეგვიპტეში და ა.შ. აღარაფერს ვიტყვი იუგოსლავიის ვერაგულად დაშლაზე, სოხუმ-ცხინვალის კონტექსტში, საქართველოსთვის საზღვარსწრაფო, კოსოვოს პრეცედენტზე, ბოლოს და ბოლოს ჩვენი ერთმორწმუნე სერბების ბარბაროსულ დამორბევაზე..

ევროსაბჭო თუ ევროკავშირი, როგორც ერთგული შინი, ნებისმიერ კაპრიზს უსრულებს და უპრავებს მსოფლიოს ერთპიროვნული მბრძანებლობის მანიაკური იდეა-სურვილი შეპყრობილ ძია სემს...

თუმცა შერეკილი ხუტა პოლიციისტერის არ იყოს, თვალი დაუდგა ევროპას და, თუ გენბავთ, ძია სემსაც სარი უთხრიაო, ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ...

ამას წინათ „ფეისბუქში“ ლევან მამალაძეს გადავანყდი და ისე გამეხარდა, რომ...

ცოდევა გამხელილი სჯობსო და ჯერ კიდევ სიყმანვილემი ამერიკულ დემოკრატიკაზე შექმნილი მითებით მოწამლული, ე.წ. ვარდების რევოლუციის მეც მივესალმე და რას ვიფიქრებდი, რომ ლევანფაშას (როგორც ქვემო ქართლის გუბერნატორს ეძახდნენ მედიაში, მათ შორის, მეც), კახა თარგამაძისა და ა.შ., მაშინ სხვა, ოდიოზებად მიჩნეული მაღალჩინოსნების სახელების გაგონება თუ ოდესმე გამახარებდა?

დაიხაც, გამიხარდა, რადგან შევარდნაძის ხელისუფლებას, ტოტალური კორუფციიდან დაწყებული, ყველაფერი შეიძლება დააბრუნო: ანტიეროვნულობის, ანტიქართველობის, ანტიმართლმადიდებლობის გარდა!

ანუ, გარდა ნეოლიბერალიზმისა, რომელთაც დღეს სამართავად (ნაიკითხე, საჯიჯგნად) მიუდგენს ჩვენი სამშობლო და პირველ რიგში ეს არის თავი და თავი ყველა ჩვენი უბედურებებისა და არა რუსეთის იმპერიული ამბიციები სამხრეთ კავკასიაში!

პოდა, კიდევ ერთი და ალბათ უმთავრესიც – ედუარდ შევარდნაძე ამერიკის ვერც ერთმა პრეზიდენტმა (მამა ბუშიდან-კლინტონ - შვილ ბუშიამდე) საკუთარ შინად ვერ აქცია

კითხე, სახელმწიფო გადატრიალების) მოწყობა არ გასჭირვებიათ...

ხელისუფლებაში მოსულმა ამერიკის შინებმა ნეოლიბერალური რეჟიმის ჯერ დასამყარებლად და შემდეგ უკვე, „სამისდღემჩიოდ“ გასამყარებლად, საკუთარი შინების მოძიება-„დავერობკება“ დაიწყეს მედიასა თუ შოუბიზნისში; სპორტში, ხელოვნებაში, ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციაში, პოლიტიკურ ოპოზიციაში, არასამთავრობო სექტორში და ა.შ. სახელმწიფო ცხოვრების (თუ ასე შეიძლება თქმა) თითქმის ყველა მიმართულებით და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ისე გააშინრეს ზემოთ ხსენებული ინსტიტუტები თუ ცალკეული პიროვნებები, რომ ნაცბანდის ტერორისტულ-ფაშისტური რეჟიმი, მათი 9-წლიანი მმართველობის მიჯნაზე მართლაც „სამისდღემჩიოდ“ შეურყეველი ეგონათ შინ თუ გარეთ, მტერსა თუ მოყვარეს და არც თუ უსაფუძვლოდ...

ჯერ მედიის შინებისა ვთქვათ:

„რუსთავი-2“ , ტელეკომპანია, რომელიც ცრემლითა და სისხლითა გადაუქარბებლად ითქვას, პირდაპირი თეთრი მოახდინა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რისთვისაც რევოლუციის მამებმა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ უწოდეს. ხოლო, როდესაც ეს მერამდენედ გაბრეკებულმა ხალხმა აზრზე მოსვლა, ხოლო რეჟიმმა აზრზე მოსვლა მიმართ რეპრესიები დაიწყო, იგივე „რუსთავი-2“ მოგვევლინა რეჟიმის ტერორის გამპრავებლად და საზოგადოების ტინების მრეცხავად!

პარალელურად ნელ-ნელა შეავიწროვეს სხვა მეტ-ნაკლებად თავისუფალი ტელეკომპანიები, რომელთაცან ზოგი დახურეს (მაგ, „მზე“ და „მავსტრო“) ზოგშიც საკუთარი შინებებით დაკომპლექტებული „ბორდები“ (ნაიკითხე ბორდებები) შექმნეს (მაგ, საზმაუწყე და „იმედი“).

დღეს, „რუსთავი-2“ ნიღაბხდილი პარტიული ტელევიზიაა, რომლის პოლიტიკური თოქშულები ერთადერთი მიზანს, სისხლისმემელი ნაცების და მათი კრეტინი პრეზიდენტ (საკაშვილის) რეაბილიტაციას ემსახურება! ცალკე და თანაც სამსჯარო თემაა ტე-

პოლიტიკური შემადგენელი, ტელე-პრიმადონა ინგა გრიგოლია!

ამ დედაკაცის ნივილ-ყვირილმა ნახევარ საქართველოს ნეკროზი დამარბათ!

თუმცა ეგვეც იქით იყოს: **იკვილოს რამდენიც უნდა, მაგრამ ის ვერ გამოვიდა, რა ნახეს ამ „ქაჯანაში“ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა ისეთი, რომ ქრისტებიან-დემოკრატებში გადასკუბებით საბოლოოდ გაშიფრულ ამ ტელემორბუნალს ასე ფართო ასპარეზი შეუქმნეს?..**

იმასაც თავი დავენებთ, რომ სამტრედიელი კონკია გალსტუკიან ხვლიც გიორგი თარგამაძესთან ერთად ეწვემიტანილია ბადრის მიმართ ლალაში, ინგა გრიგოლიას ინტელექტის პულსი საერთოდ არ ესინჯება (რომ იტყვიან, ერთი წიგნიც არ ექნება წაკითხული) და გაუნათლებლობის შეფუთვას ხელების უგვანო პარჭყვით, გამყინავი ყვილით ცდილობს. ხოლო საკუთარ „პრადვინუტობას“ ნეოლიბერალური იდეების ფრჭველი უხვამს ხაზს!

ამ საახალით უღვინა ინგა ლამის იყო ცხარე ცრემლით გვატარა ლელა წურწურშიაზე, რომელიც თურმე საახალწლო კონცერტში არ მიუწვევიათ და ლელა ინგასთან დუეტში აპროტესტებდნენ ახალი ხელისუფლებისგან, ძველივით, მომღერალთა „შავი სიუბის“ შედგენას!

ძალიან მაინტერესებს თუ რატომ არ აწყობდა მსგავს გადაცემებს ქალბატონი ინგა, როდესაც სტეფანეებს და ზუმბებს მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული ყველგან და ბაგრატიონები თუ კვალიაშვილები უნამუსოდ იბლოკებოდნენ?

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: იმ ხელოვან-მომღერლებმა, რომლებიც მიშას რეჟიმს უმღეროდნენ მაშინ, როდესაც ამ რეჟიმის გამო ნახევარი საქართველო გმინავდა და ახლა უნამუსოდ გაიძახიან, „აბა რა მექნა, ჭამა მინდოდაო“, იმ „მირთმევის“ გამო, ბოდიში მაინც მოიხადონ და მერე ილაპარაკონ ახალი ხელისუფლების მიერ, ძველებურივით „შავი სიუბის“ შედგენაზე!

ერთი სიტყვით „რუსთავი-2“ და „იმედი“ არიან ის 2 მონსტრი (საზმაუწყეს საერთოდ ვინმე უყურებს?), რომლებიც ფარული თუ



ალიანსიანი

ბარემო დაბინძურება? დაჯარიმდები!..

ბარემოს დაბინძურებისთვის 15 იანვრიდან კანონით გათვალისწინებული ჯარიმები ამოქმედდება. ახალი კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ აღსრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს ევალება.

„ნარჩენების მართვის კოდექსი“ 15 იანვრიდან ამოქმედდება. კანონი საყოფაცხოვრებო, მუნიციპალური, სამშენებლო და სხვა ნარჩენების მოძრაობის, დასაწყობების, გადატვირთვის და ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხებს არეგულირებს. კოდექსში გაწერილი შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით გარემოს ნარჩენებით დაბინძურება

აღარ მოხდება. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, დაჯარიმდებიან იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები და მგზავრები, რომლებიც სხვადასხვა სახის ნარჩენებს, ეს იქნება სიგარეტის ნამწვი, კვების პროდუქტის ნარჩენები თუ სხვა, ფანჯრიდან გადაყრიან.

საპატრულო პოლიცია არის ზედამხედველი ორგანო, რომელიც აღნიშნულ სამართალდარღვევას აღკვეთს. ჯარიმის ოდენობა 120 ლარს შეადგენს. კერძო ავტოსატრანსპორტიდან ნარჩენების გადაყრის შემთხვევაში ჯარიმდება მძღოლი, რომლის მართვის ქვეშ იმყოფება იმ მომენტში ავტომანქანა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში კი სამართალდამრღვევი მგზავრი ჯარიმდება. საპატრულო პოლიცია ასევე მოახდენს შესაბამის რეაგირებას, როცა მოქალაქის მხრიდან ნარჩენების უტილიზაციის მცდელობა იქნება ამისთვის არადადგენილ ადგილზე ან არადადგენილი წესით.

ინტერპრესი

არქიტექტურა: პროფესიის პრესტიჟი

მოხილვით, არ მიიღო მონაწილეობა პროფესიული ღირსების შეურაცხყოფელ კონკურსში. — მივმართე კოლეგებს 27 დეკემბერს არქიტექტორთა ყრილობაზე. ეს უპრეცედენტო მოწოდება გამოივიდა „ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. №23-ის და ჩახრუსხაძის ქ. №29-ის კვეთაზე მდებარე შენობების ნაცვლად სასტუმროს ახალი შენობის ესკიზურ პროექტზე ღია არქიტექტურული კონკურსის“ პროგრამამ და პირობებმა. კონკურსის ორგანიზატორია შპს „მუხრანთუბანი“, „მხარდამჭერები“ — ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული სამსახური და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“.

ეს წერილი ჩემს არანაირ გეგმაში არ იჯდა, არც სურვილი მქონდა და არც დრო, მით უფრო, რომ კონკურსის „მხარდამჭერების“ მიმართ, რომლებიც, უნდა ვივარაუდოთ, პროგრამა-პირობების შედგენაშიც მონაწილეობდნენ, კეთილგანწყობილი ვარ, მერიის არქიტექტურის სამსახურის მიმართ სასიკეთო ცვლილებების მოლოდინის, ხოლო „არქიტექტორთა ასოციაციის“ მიმართ მათ მიერ აღწერილებული არა ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული აქციის გამო, სხვა რომ არა, ორივე „მხარდამჭერის“ ლიდერები ჩემი ყოფილი სტუდენტები არიან, მაგრამ „**პლატონი ჩემი მეგობარია, ტემპარიტება უფრო დიდი მეგობარია**“.

„პროგრამა-პირობებში“ ვარგადაა შესრულებული „ისტრიული-არქიტექტურული კვლევა“, ზოგადი დებულებები, მიზნები და ამოცანები, გრაფიკული და ფოტომასალა და სხვა. კატეგორიულად მიუღებელი და პროფესიული ღირსების შეურაცხყოფელია პრემიალური ფონდის ოდენობა და მისი გაცემის წესი, ყოფილი ანონიმურობა, საკონკურსო ვადები.

კონკურსი „პროგრამა და პირობები“ იურიდიული დოკუმენტითაა, რომელმაც თანაბრად უნდა დაიცვას „ორგანიზატორის“ (დამკვეთის) და შემსრულებლის (არქიტექტორის) ინტერესები. სწორედ ეს „თანაბრად“ განაპირობებს კონკურსის წარმატებას. ასევე ეს ცივილიზებულ ქვეყნებში. არ გამოვრიცხავ, დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ ყოფაში აღმოჩნდებიან არქიტექტორები, რომლებიც „ბედს ცდიან“ და შეიძლება ასეთები არც თუ ცოტანი იქნებიან, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ, კონკურსების შემოქმედებით ხარისხს განაპირობებს არა მონაწილეთა რაოდენობა, არამედ მონაწილეთა პროფესიული დონე, რომლებიც არასდროს ნავლენ კომპრომისზე. მსოფლიო საკონკურსო პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტის, განურჩევლად, არის დამკვეთი სახელმწიფო თუ კერძო პირი, შერჩევა ხდება კონკურსის გზით. კონკურსი მომგებიანია მენაშენისათვის, ვინაიდან „კონკურსი“ საზოგადოების ჩართულობას გულისხმობს, რაც საქმის მშვიდობიანი დასასრულის გარანტიაა. სწორედ კონკურსების იგნორირების, უმეტეს შემთხვევაში კონკურსის ფალსიფიცირების შედეგია ის კონფლიქტები, რომლითაც ხასიათდებოდა ავტორიტარიზმის 9-წლიანი პერიოდი და რომლებიც დღესაც ალმოადებული კერები (ცათამბუჯენი „იმელის“ უკან, საბაგირო გზა „რადისონ ბლუ“ — ფუნქციონირი, საცხოვრებელი კოლოსი პირველი სკოლის უკან, ბალანჩივაძისა და დოლიძის ქუჩების დასაწყისის სკვერში მშენებარე ლითონის ურჩხული, ამოყორილი სპორტის სასახლის არეალი და მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ტერიტორია, საცხოვრებელი კორპუსებით ამოცხებული ვაკე, ვერა და საბურთალო)...

კონკურსისადმი ინტერესს და შედეგანობას ოთხი ფაქტორი განაპირობებს: პროგრამის სიკმაძღვრე, საპრემიო ფონდი, ყოფილი პროფესიული რენომე და საკონკურსო ვადები.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს უცხოეთის პრაქტიკიდან: ეს მაგალითები ნათლად მეტყველებენ რამდენად გაუფასურებულია ეს ფაქტორები ქართულ რეალობაში.

1. ბულგარეთში ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი ქ. სოფიის ახალი კულტურულ-სავაჭრო-ადმინისტრაციული ცენტრის — „ახალი სოფიის“ პროექტზე. კონკურსი შერეული იყო, ღია — შეკვეთილი. მონაწილეობა ჰყავდა 6 ავტორი (საავტორო ჯგუფი) — 2 ბულგარული, 4 უცხოური. ყოფილი განისაზღვრა 9 ნევრით — 8 არქიტექტორი და მერიის ერთი წარმომადგენელი, ისიც არქიტექტორი. საკონკურსო ვადა — 6 თვე. **თითოეული „მონაწილის“ ჰონორარი იყო 100 ათასი ევრო.**

2. ღია-შეკვეთილი კონკურსი გამოაცხადა პეტერბურგის მუნიციპალიტეტმა მარინის თეატრის სცენური ნაწილის გაფართოება-რეკონსტრუქციაზე. მონაწილეთა შორის 6 რუსული და 8 უცხოელი არქიტექტორი იყო. ჰონორარი მონაწილეობისათვის (მონაწილეობისათვის და არა გამარჯვებისათვის) იყო 30 ათასი ევრო. სამმა უცხოელმა უარი განაცხადა ჰონორარის „არადადეკატიურობის“ გამო. საკონკურსო ვადა — 4 თვე.

3. ღია საერთაშორისო კონკურსი აზიის კულტურის ცენტრის პროექტზე გვანჯირში (ჩინეთი). პრემიალური ფონდი 590 ათასი აშშ დოლარი: 1 პრემია — 200 ათასი აშშ დოლარი, ორი II პრემია — 50 ათასი აშშ დოლარი თითოეული, ოთხი III პრემია — 30 ათასი აშშ დოლარი თითოეული, ათი ნამახალისებელი პრემია — 20 ათასი დოლარი თითოეული. ყოფილი 8 ნევრისგან შედგებოდა. ყველა არქიტექტორი იყო, ორი მათგანი — რიჩარდ ინგლანდი (მატა) და რაინერ ვერბელი (ავსტრია-საფრანგეთი) წარმოდგენდნენ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირს. კონკურსის ვადა — 5 თვე.

ამ სიის გაგრძელება რამდენიმე ათეული შეიძლება, მაგრამ ეს მაგალითები საკმარისია საერთაშორისო არქიტექტურული საკონკურსო კონცეფციების დასადგენად. ჩვენი კონკურსის ორგანიზატორებმა შეიძლება თავი იმართლონ, ჩვენ ხომ საერთაშორისო კონკურსს არ ვატარებთო. პასუხი ერთია: დღეს, XXI საუკუნეში, კომუნიკაციების ფანტასტიკური დონის პირობებში, არავითარი რეგიონალური, საქალაქო-სარაიონო, სადაბო-სასოფლო კრიტერიუმები არ არსებობს არც მეცნიერებაში, არც სპორტში, არც კინოში, არც თეატრში, არც არქიტექტურაში. კრიტერიუმი ერთია — საერთაშორისო.

იქნებ არქიტექტურული ამოცანა უმნიშვნელო? ისტორიული კალას არეალის სწორედ ამ მონაკვეთში თავხედურად, უაპელაციოდ, გამომწვევად და ტლანქად დარღვეული არქიტექტურული კონტექსტი, სივრცობრივი იერარქია, ხელყოფილი ანჩისხატის პრიმატი, ორსართულიანი ლაიდის წყლების ადგილას აღმოცენებული კინური მონსტრი და ე.ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეის ადგილას მშენებარე მასშტაბური „კარკასული“ შენობით.

რას ვეთავაზობს „ბარათაშვილის ქ. № 23-ის და ჩახრუსხაძის ქ. № 29-ის კვეთაზე მდებარე შენობების ნაცვლად სასტუმროს ახალი შენობის ესკიზურ პროექტზე ღია არქიტექტურული კონკურსის პროგრამა და პირობები“?

1. „კონკურსის საპრობო ფონდი შეადგენს 10 000 ლარს, რომელიც ერთპიროვნულად, კონკურსის ორგანიზატორის (ე.ი. შპს „მუხრანთუბანი“) შეხედულებებისამებრ გადანაწილდება კონკურსის პროფესიული ჟიურის მიერ შერჩეული სამი საუკეთესო პროექტის ავტორებზე (ან ავტორთა ჯგუფზე)“. გაცილები კაცი! ვეკითხები „კონკურსის მხარდამჭერებს“ — „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს ბ-ნ **დ.მუსულიშვილს**, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ქ-ნ **ნ.ლოლოზიძეს**, როგორ დათანხმდით ამ სარკაზმს და პროფესიის აბუჩად აგდებთ. ვთქვათ, „ორგანიზატორს“ — თ.გეგეჭორის სამივე პროექტი თანაბრად მოეწონა და პრემიაც თანაბრად გაანაწილა (3.333 ლარი)

გლანდების აპოკალიფის სწორი ნაწილაკიდან?!



— ეს თანხა ხომ სამინისტროს საშუალო რგოლის თანამშრომლის თვიური ხელფასის დანამატის ტოლია. რა ვქნათ ახლა არქიტექტორებმა? — სააკაშვილის დრო ვინაშტოთ?!

გეკითხებით თქვენ, არქიტექტორებებს, როგორ დათანხმდით ასეთ შეურაცხყოფელ პრემიას?

დავუშვათ, „ორგანიზატორმა“ არ იცის, რა შრომასთანაა დაკავშირებული პროექტირება, რა პროფესიული ცენზია საჭირო გამარჯვებისათვის, „ცეკვავენ ვარსკლავები“ ან სხვა შოუს კონკურსი მაინც არ გინახავთ ტელევიზიით, სადაც გამარჯვებული ბინით, ხოლო მეორე ადგილზე გასული მანქანით ჯილდოვდებიან — სხვათა შორის, სრულიად სამართლიანად. გამარჯვება ყველგან და ყველგან იქნება.

ხემ თქვა, ცული ვერაფერს დამაკლბდა, ჩემი ჯიშის რომ არ იყოს! ამას კონკურსის „მხარდამჭერების“ გასაგონად ვამბობ.

„კონკურსის ჟიურის მუშაობის წესი და საუკეთესო პროექტების გამოვლენა“ (პარაგრაფი 8) სრული აბრაკადაბრაა.

„კონკურსის ჟიურის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება „კონკურსის ორგანიზატორის“ გადამწყვეტილებით“. ასეთი განუსაზღვრელი ძალაუფლება არა თუ 10 ათასი ლარის გამაღებ „ორგანიზატორს“, არამედ არც ერთ ფეოდალს არ მიუნიჭებია საკუთარი თავისთვის. უნდა ვიფიქროთ, რომ „ორგანიზატორს“ პროექტი უკვე აქვს და სურს გაათეთროს.

„კონკურსის ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია საზოგადოებისთვის და კონკურსანტებისთვის და გამოცხადდება საკონკურსო ნამუშევრების შეფასების შემდგომ“.

კონკურსის ჟიურის ანონიმურობა დაუშვებელია, ვინაიდან ჟიურის თითოეული წევრის პროფესიონალიზმი და ეთიკური რეპუტაცია გადამწყვეტია კონკურსისადმი ინტერესის და ნდობისთვის. პროფესიონალიზმისთვის ასევე მნიშვნელოვანია ჟიურის წევრის არქიტექტურულ-ესთეტიკური ორიენტაცია. უფრო გასაგები რომ იყოს: მე არ მივიღებ მონაწილეობას იმ კონკურსში, რომლის ჟიურში იქნებიან ფრენკ გერიო და ზაჰა ჰაიდი ან ტომ მაინი და დანიელ ლიბესკინდი, ჩვენი არქიტექტურული მსოფლმხედველობის (თუნდაც არქიტექტურული გემოვნების) პრინციპული განსხვავებულობის გამო. ასევე თავს შევიკავებდი იმ კონკურსებში მონაწილეობისგან, სადაც ჟიურის წევრები იქნებიან ნორმან ფოსტერი და რიჩარდ როჯერსი, მათი უკიდურესად ტექნიცისტურ-გლობალისტური ორიენტაციის გამო, რაც ჩემთვის ასევე მიუღებელია. ვის ვენდობ? — ალფო როსისს, რიკარდო ლეგარეტს, რიჩარდ ინგლანდს, არატა ისოზაკის, კიშო კუროკავას, კონონ-

რი კიკუტაკეს, ანტონი პრედოკს, ემილიო ამბაზს, ფრანკო პურინის, ყველას, ვისთვისაც კონტექსტი, ქვეყნის ისტორია, ტრადიციები და „ადგილის სული“ მნიშვნელოვანია.

მე-8 პარაგრაფი ასევე გვამცნობს: „ყოფილი დაკომპლექტდება პროფესიონალი არქიტექტორებისგან და კონკურსის ორგანიზატორის წარმომადგენლებისგან, ხოლო საკონკურსო პროექტების შეფასების პერიოდში შედგება მუშა შეხვედრები კონკურსის ორგანიზატორსა და ჟიურის წევრებს შორის“. არ არის მითითებული, რა თანაფარდობა იქნება „პროფესიონალი არქიტექტორებსა“ და „ორგანიზატორის წარმომადგენლებს“. უნდა ვივარაუდოთ, „ორგანიზატორის“ პოზიციები აქაც მყარი იქნება.

არქიტექტურული კონკურსების პრაქტიკა, მათ შორის ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ: კომპლექტურია 5-7-9-წევრიანი ჟიური. სიდნეის ოპერის თეატრის კონკურსზე, სადაც 223 პროექტი შემოვიდა, ჟიური სულაც ოთხი არქიტექტორისგან შედგებოდა.

ჟიურის ყველა წევრი არქიტექტორია, მათ შორის „ორგანიზატორის წარმომადგენელიც“.

ჟიურში ვერ ნახავთ არაპროფესიონალს, მით უფრო თანამდებობის პირებს.

ჟიურის წევრთა მუშაობა მაღალანაზღაურებადი. „მაღალანაზღაურებადი“ განყენებული მცნებაა. დაინტერესდი, გავუგზავნე იმიელი ჩემს მეგობარს, არქიტექტორ რიჩარდ ინგლანდს, რომელსაც საკმაოდ ხშირად იხვევენ საერთაშორისო ჟიურში. პასუხმა არ დააყოვნა, „ნადავ 10 ათას დოლარი პლუს პირველი კლასის მომსახურება“. ჩვენი კონკურსის მთელი „პრემიალური ფონდი“ ჟიურის წევრის ჰონორარის ქვედა ზღვარის ტოლი?!

საერთაშორისო საკონკურსო პრაქტიკა გვიჩვენებს, დამკვეთი — „ორგანიზატორი“ მთელი საკონკურსო დროის და ფინანსების თითქმის ნახევარს გონივრული, რეალური საკონკურსო „პირობების და პროგრამის“ შედგენას ანდომებს. აყალიბებს საკონკურსო დირექციას, იწვევს დარგის სპეციალისტებს, ექსპერტებს. პროგრამა სამოქმედო ჩარჩოა ჟიურისთვის. ჟიურის არა აქვს უფლება პრემიების არ გაცემის, არც შემცირებისა. ჟიური, საჭიროების შემთხვევაში იძლევა კონკურსის შემდგომი ქმედების რეკომენდაციებს. დამკვეთის „მუშა შეხვედრები“, ანუ ჩარევა ჟიურის საქმიანობაში კატეგორიულად დაუშვებელია. ასეთი შეხვედრა შეიძლება მოხდეს კონკურსის დამთავრების შემდგომ.

მე-8 პარაგრაფში, ასევე განსაზღვრულია ჟიურის მუშაობის წესი. შემოთავაზებულია შეფასების ელექტრონული მეთოდი, „სპეციალური ინდივიდუალური კოდი და პაროლი“. შეფასება ხდება 10-ბალიანი შკალით. ჟიურის წევრები საერთოდ ვერ ხედებიან ერთმანეთს. არც რაოდენობა და არც პერსონალიზება ცნობილი. გამარჯვებულს გამოავლენს კომპიუტერი, შესაძლოა, სულაც „ორგანიზატორი“. ეს სრული აბსურდია.

ჟიურის ყოველმა წევრმა წერილობით უნდა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება. — სწორედ ესაა ობიექტურობის ყველაზე სანდო გარანტი და არა ჟიურის ანონიმურობა. სახსრება „არქიტექტორთა ასოციაციის“ ყოველწლიური დათვლილება-კონკურსის, სადაც როგორც წესი 10-მდე ნომინაციაში, 200-ზე მეტი ობიექტია წარმოდგენილი, შეფასების წესის (სხვათაშორის საკმაოდ არაობიექტურის) მორგება რეალურ ობიექტზე. „დათვლილება“ და კონკურსი რეალურ ობიექტზე პრინციპულად განსხვავებულია, როგორც მატერიალური, ასევე პროფესიული ინტერესების თვალსაზრისით. ეროსაარინენმა, სიდნეის ოპერის თეატრის ჟიურის ოთხი წევრიდან ერთ-ერთმა, თვითონ დაიქირავა კატარა, შეცუფროს ოკეანის სიღრმეში, რათა ჟიურის დანარჩენი სამი წევრისთვის „ქმენებიან“ თუ რა სიძლიერის მხატვრული მუხტი ექნებოდა „აფრებს“ ქალაქის სილუეტში. შეფასების ელექტრონული მეთოდის შემთხვევაში, დღეს მსოფლიოს არ ექნებოდა სიდნეის ოპერის თეატრი — XX საუკუნის არქიტექტურული შედეგია. **საერთოდ გაუგებარია, რატომ ვცდილობთ გლანდების ამოკვეთას სწორი ნაწილაკიდან?**

არ დაგიმალავთ, არ მესიამოვნა „საკონკურსო ტერიტორიის უფლებრივ დახასიათებაში“ განაშენიანების კოეფიციენტების კ=0.7, კ2=4.6, კ3=0.1 „შესხენება“, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოეფიციენტებმა კი არა, არქიტექტურულმა კონტექსტმა უნდა გადამწყვეტოს ყველაფერი. კოეფიციენტი იქნება ის, რასაც ითხოვს არქიტექტურული კონტექსტი.

მივმართავ კონკურსის „ორგანიზატორს“ და „მხარდამჭერებს“: დაუყონებლივ გამოაცხადეთ კონკურსი შეწყვეტილად; მოიყვანონ „საკონკურსო პროგრამა და პირობები“ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მოვუწოდებ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის წევრ საქართველოს არქიტექტორთა კავშირს ამოილოს ხმა და დაიცვას თავისი წევრების უფლებები.

მივმართავ მომავალ ინვესტორებს, მენაშენებს. **პროექტი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. პროექტირებაზე, მათ შორის კონკურსებზე, ეკონომია მთელს მსოფლიოში მიჩნეულია, როგორც „დანაშაულებრივი ეკონომია“ პროექტირებაში ეკონომია აუცილებელ ნაშაღველ ეკონომიის ტოლფასია.**

კიდევ ერთხელ მივმართავ კოლეგა-არქიტექტორებს, არ მიიღონ მონაწილეობა ღირსების შემლახავ კონკურსში, სანამ საკონკურსო პროგრამა და პირობები არ იქნება მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან. ადამიანი ყველაფერს ეწვევა, მათ შორის მონობასიც. მონობა ცხოვრების წესი ხდება, ზოგიერთისთვის კომფორტულიც, მაგრამ მონების ქვეყანა გარდაუვლად ილუპება.

პასტანაზ დავითიანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი



თქმა პარტიისა...

საქართველოში მეცნიერება და განათლება დღეს რომ სულს დაფარავს, ცხადზე უცხადესია. ამის უმთავრესი მიზეზი, უფრო სწორად, მიზეზობრივი მიზეზი არის ე.წ. რეფორმა, რომლის სულსწამდგამელი მსოფლიოში სახელგანთქმული თაღლითი სოროსი გახლავთ. იგი ერთობ ზედკრულბობის უმსოფლიო საქართველოს. ეს ის პერიოდია, როცა ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის ყველა, განსაკუთრებით კი განათლების და კულტურის სფეროები მოიცვა: სიღვრეში და შიშველი გაბატონდა. „ქვემოქვეყნის“ მილიარდობით ახალი ისარგებლა, მსხველი ანგელოზის მანტია მოისხა და ფრთები გაშალა. უპირველეს ყოვლისა, მან „მონყალეების თვალით“ გადახედა განათლების სფეროს, რადგანაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ საიდან უნდა დაეწყო ეროვნული სულისა და გონაობის მოშოთა, რაც მისი მოღვაწეობის არსი და უმთავრესი მიზანი იყო და არის...

ჰაი-ჰაი, რომ ქვეყნად სულწაყმედილი არსებანი მრავლად არიან. მსგავსნი ჩვენშიც გამოიჩინებენ და კოლაბორაციონისტებმა დიდი აღტყინებით დაიწყეს „განათლების რეფორმა“, რომელიც დეფორმაცია იყო და პირდაპირ ანგრევდა არსებულ განათლების სისტემის ფუნდამენტურ შენობას და მის ნაცვლად რალაც გაუზარებელ ხუხულას აშენებდა. ამ ე.წ. რეფორმას იმით ამართლებდნენ, რომ არსებული განათლების სისტემა მონათლეს საბჭოთა პედაგოგიკის გადამონაშთად, რომელიც თანამედროვე მეცნიერული მიღწევების შეუსაბამო გახლავთ. სინამდვილეში კი ამ „პროგრესულ“ ქმედებას ასულდგმულება ერთადერთი მიზანი – ამოეშრო და მოეხსო ის წყაროები, ეროვნულ ცნობიერებას რომ კვებავდნენ და ასაზრდოვდნენ. საბოლოოდ, ამას უნდა მოჰყოლოდა (ნაწილობრივ მოჰყვა კიდევც...) აზროვნების სტრუქტურის შეცვლა... სწორედ ამიტომაც ამ საქმეს სათავეში ჩაუყენეს ისეთი გამოუწიროვნავი ადამიანები, რომელთაც განათლებასთან სიზმარშიც არ ჰქონდათ შეხება. კერძოდ, კანალიზაციის დიდოსტატი, სანტექნიკოსი ა. ლომაია, ცილისმამებელი, გაუნათლებელი პროკურორი ნ. გვარამია, რომელიც იმით ამყობდა, რომ ლევეტოლსტოი არ ჰქონდა ნაკითხული; ციხეების „რეფორმატორი“ დ. შაშინი, სოროსის ბუდეში დაფრთხილებული, ე.წ. ფილოსოფოსი გ. მარგველაშვილი...

სწორედ ამიტომაც, უპირველესად შეუტყვის აკადემიას, რომელიც იყო ეროვნული მეცნიერული აზროვნების წარმმართველი და საფუძველთა საფუძველი. ამ დეფორმაციის „არქიტექტორები“ თავის „ნოვატორულ აღმოჩენებებს“ კვლავაც ყურით მოთრეული მიზნებით ამართლებენ; თურმე ნუ იტყვი და მეცნიერებათა აკადემია ყოფილა საბჭოთა კავშირის გადამონაშთი, რომელიც თანამედროვე თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი და შეუფერებელია. ცხადია, მათი ეს მტკნარი სიცრუე გაუთვითცნობიერებულ პირთა გასაბრკელებლად არის შეთითხნილი, სინამდვილეში კი მათ სწადიათ, ქართული კულტურა და განათლება მოსპონ და მის ნაცვლად თავიანთის სასურველი რეალობა გააბატონონ.

ამ თაღლით ბრყვითა გასაგონად უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, იმ აკადემიის, რომელიც დააფუძნეს და რომლის წევრებიც იყვნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერნი და შემოქმედნი: ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ალბერტ თავხელიძე, ვიქტორ კუპრაძე, ევგენი ხარაძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, შოთა ნადირაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გოგია და მისი. (ყველას ჩამოთავა შეუძლებელია!), საბჭოთა წყობის გადმონაშთად მოხსენიება გაუგონარი კადნიერება, თავხედობა, უტიფრობა და უმეცრებაა. მაგრამ სინდისის ძარღვანყვეტილი, უსული და უგული არსებანი ამას როდი დაგიდევნენ. მიაღვინეს და დაუნყვეს აკადემიის სისტემას, რომელშიც შედგებოდა 50 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი, სადაც მეცნიერულ-შემოქმედებითი ცხოვრება დულდა, დაშლა-დანაწევრება: ჯერ ინსტიტუტები აკადემიის სისტემისგან გამოყვეს და საერთო მართვის მიღმა დატოვეს, შემდეგ ერთიან სხეულს მოწყვეტილი უსარგებლო ნაწილებით აქეთ-იქით მიყარ-მოყარეს, მერე მათი შენობები და ლაბორატორიები თავისი ინვენტარ-მონყობილობებით გაყიდეს და ღია ცის ქვეშ უბატრონოდ დაყარეს, თანამშრომელნი კი შეცივებულნი, შემცივრებულნი, უხელფასონი და მშვიერ-მწყურვალნი დატოვეს. ვგონებ, ამას არ ჩაიღვინდა არც ჩინგის-ხანის და არც თემურ-ლენგი, რომელთაც ჩვენ „რეფორმატორებზე“ უკეთ ესმოდათ მეცნიერებისა და პოეზიის ყადრი...

და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველ მეცნიერთა სასახლოდ უნდა ითქვას, მათ არ უღალატეს თავიანთ მოწოდებას, არ დაკარგეს ღირსება და დიდი გაჭირვების, სიღვრეჭირისა და ძნელებლობის უმსოფლიო დათმეს ჩვენს ქვეყნისა და ერისთვის სასიცოცხლო საქმე – **მეცნიერება** და დიდი გარჯითა და ბრძოლით შეინარჩუნეს, ვიტყვოდი, მეცნიერული ოაზისი – მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სადაც დღესაც დაულალავად იღვანიან მეცნიერების ყველა დარგის რჩეული სპეციალისტები და საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერები, რაზეც ნათლად მეტყველებს მათი ნაღვანი და მეცნიერული ნაზარევის მონაგარი. ჩვენი სიტყვები ჰაერში გამოკიდებული რომ არ გამოჩნდეს, ზოგიერთ ფაქტს მოვიხმობთ:

ამ ბოლო სამი წლის (2011-2013 წ.წ.) მონაცემები ასეთია. საქართველოს ეროვნული მეცნიერების აკადემიის წევრებმა გამოაქვეყნეს:

- 1) – 118 მონოგრაფია, მათგან 18 გამოქვეყნდა უცხოეთში.
- 2) – 1014 სამეცნიერო წერილი, მათგან 405 დაიბეჭდა უცხოეთში.
- 3) – მიიღეს მონაწილეობა 250-მდე საერთაშორისო ფორუმში.
- 4) – შეიმუშავეს 50-ზე მეტი სიახლის დამწერავი, უაღრურ-

სად მნიშვნელოვანი წინადადება ბიოლოგიის, ქიმიის, საინჟინრო ტექნოლოგიების სფეროში.

5) – აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოეთის გამოცემებში. მაგალითად, იუნესკო-ს გეგმით გამოცემული ხუთწილიანი ენციკლოპედია „სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემები“.

6) – როგორც წესი, ქართველთა მეცნიერული ნაშრომები უცხოელი კოლეგების დიდ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებს (ასე, მაგალითად, ე. გამყრელიძის ხელმძღვანელობით გამოქვეყნებული „საქართველოს ტექტონიკური რუკა“, „ქართლის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი და სხვა).

7) – ცალკე აღნიშვნის ღირსია ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრის კიაზო ფიცხელაურის მიერ დედოფლისწყაროში ახლახან აღმოჩენილი უძველესი ქართული ქალაქ-სახელმწიფოს (XII-X საუკ. ჩვ.წ.-მდე) ნაშთი, რომელიც ქართულ ცივილიზაციას სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენს.

8) – მეცნიერებათა აკადემიაში განხილვა ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორცაა: ა) ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მოწყობა; ბ) მეტალურგიაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა; გ) ექსტრემალურ პირობებში მზარდი მიკროორგანიზაციების გამოყენების საშუალებები და სხვა მრავალი პრობლემა, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს წინაშე მწვავედ დგას და სასიცოცხლო მნიშვნელობისა არიან.

9) აკადემიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ განათლების სისტემაშიც. ამ ბოლო წლებში მათი ავტორობით თუ მონაწილეობით მალად პროფესიულ დონეზე გამოიცა 47 სახელმძღვანელო.

ეს ჩამონათვლი შეიძლება კიდევ გაგვეგრძელებინა, მაგრამ მრავლისაგან ამ მცირედის წარმოჩენაც კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აკადემიის და მისი წევრების მოღვაწეობის შესახებ, რამაც მეცნიერებაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ადა-

ცაბო ბილიკზე: ჯერ იგი იყო მტკიცე ლენინელი და კომუნისტური რწმენის თავდადებული დამცველი, მერე გახდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აქტივისტი და კავშირის პრესის სამსახურის უფროსი (1992-1998 წ.წ.); შემდეგ ვხვდებით ნაციონალისტების მებრძოლთა მწინავე რიგებში და მიშკოს დედკოს, გიული ალასანიას ხელდასხმით ნაციონალისტების სიით ხვდება პარლამენტში. მაგრამ გუგული რის გუგული იქნებოდა, რომ ნაცების ბუდეში დარჩენილიყო და ახალი სიოს დაბერვისთანავე მათ ზურგს აქცევს და აფუძნებს ქალთა პარტიას „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“ (2008 წ.). მაგრამ დამოუკიდებლად ბრძოლაში წარმატებას ვერ აღწევს, აუქმებს მას და „ქართული ოცნების“ ბუდეში ჩათბუნდება. ბოლოს ბიძინა ივანიშვილის წყალობით აუხდენელი ოცნება აღისრულა და პარლამენტის წევრი და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახდა. მოკლედ, როგორც გუგულს არ ესირცხვილება ბუდეების ცვლა, ასევე მისი სინდრომით დაავადებულ ქნ გუგულისაც არად მიაჩნია პარტიათა ცვლა, მეგობრის ღალატის და მათი ნახმარი „კოლგოტკევიით“ მოსროლა. ეს მით უმეტეს გასაკვირია იმ ადამიანისგან, ვინც საბჭოთა ახალი ადამიანის მორალის ჩამოყალიბებას შეაღია თავისი ახალგაზრდობა. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ...

დასასრულ, ქნი გუგულის სწავლა-განათლების სფეროში გარჯასაც გადავავლოთ თვალნი. ბუნებრივია, აქაც გუგულის სინდრომი იჩენს თავს. უპირველესად ის არის საგულისხმო, რომ მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტი ერთიმეორის მიყოლებით დაამთავრა: ფილოსოფია-ფსიქოლოგია (1968 წ.), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (1974 წ.) და სამართალმცოდნეობის (1997 წ.).

სწავლის დაუოკებელი წყურვილი კარგია, გაგიხარიათ! დავით გურამიშვილი ჯერ კიდევ როდის გვაუწყებდა: „სწავლა

აქსანაგო გუგული,

მიანებზე წარუშლელი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს. მაგრამ ამის აღქმა არ ძალუძთ ბრიყვთ და უნუნთ, რომელთაც არ ანუხებთ ჩვენი სამშობლოსა და სახელმწიფოს ბედი და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობასა და კარიერაზე ამოსდით მზე და მთვარე.

რაოდენ საწუხარია, რომ დღეს ამგვარ „მოღვაწეთა“ რიცხვი უფრო მეტი მომრავლდა, ვიდრე ღირსეულ, ერის ბედზე მჭყუნვარე მამულიშვილები. ამიტომაც ეს ფარისევლები, თავი რომ მსოფლიოს და კაცობრიობის ქომბეჭვად მოაქვთ, არ ვიცი – სამშობლოს სიძულვილის, არ ვიცი – ხელმოცარულობის, უნიჭობისა და თუ შურის, არ ვიცი – უცხოელ „მეცენატთა“ დავალების და საკუთარი კარიერისა გამო, ენებს ასარსალებენ, აკადემიისა და აკადემიკოსების დამცრობა სურთ და ჩასაფრებულნი – ორღობიდან, ტელევიკრანიდან, სამინისტროსა თუ პარლამენტის ტრიბუნებიდან – ტალახს ესვრიან ღვანღომილ ადამიანებს.

ამ ფარისევლებთა არმიას ბოლო დღებში შეემატა „ბალზაკის ასაკს“ გვარიანად გადაცილებული, „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს“ გამოყოფილი ქნი **გუგული მადრადე**, რომელიც მოულოდნელად გამოსტა, ვითარცა კედლის საათიდან გუგული და დროების შესაბამისად რამდენიმეჯის შემოგვძახა – გუგუ თუ უკუ? – რაც ადამიანური ენით გვაუწყებდა, რომ აკადემიის სისტემა საბჭოთა გადმონაშთია, თქვენი მისი ნაჩვენებნი ხართ და დროა, ერთ კუთხეში მიიყუროთ... ვგონებ, ამის გამგონე აკადემიის წევრთა დიდზე დიდ უმეტესობას უმაღვე გაახსენდებოდა ანდაზა: „ისეთმა ფურმა დამნიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდესო“. ზოგიერთ მათგანს კი უფრო მეტს შესატყვისი ხალხური სიბრძნე გაუელებდა თავში – „არამკითხე მოამბეო მიტყვივე და მიაგდეო“...

მაგრამ, ბატონებო, თუ ქნი გუგულის ფიზიკურ წონას და მის ქალურ სინარჩუნს გავითვალისწინებთ, ასე იოლი მისატყვი და მისაგდები არ არის. ასე რომ, კოლეგებო, უფრო სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ საქმეს!

მართლაც, ქნი გუგულის ცხოვრების გზას თვალს თუ გადავავლებთ, მისი ფსიქო-სოციალური ტიპის დადგენა გაძნელებულია... ეს სიმწელე გამოწვეულია არა იმდენად მისი ემოლსოფიური თუ ფსიქოლოგიური აზროვნების სიღრმით, რამდენადაც დაუდევარი და მერყევი ხასიათით და ქცევით, რაც ასევე მისი მოსახელე ფრინველი გუგულის ბუნებას გვაგონებს – სხვათა ბუდეში კვერცხს რომ დებს, ბედის ანაბარა მიატოვებს და მერე სხვა, უფრო ძნელ ბუდეში მოკალადება კვერცხის დასაღებად. სწორედ „გუგულის ქცევის სინდრომი“ გვაგონებს ქნი გუგულის მრავალი ასოციაციის ასოცირებული წევრობის და სხვადასხვა ორგანიზაციის პრეზიდენტობის დაუოკებელი ყინი! რომელი ერთი ჩამოვთვალო? (გამოყენებითი ფსიქოლოგიის მსოფლიო ასოციაცია, პოლიტიკური ფსიქოლოგიის მსოფლიო ასოციაცია, საქართველოს ფსიქოლოგიის საზოგადოება, სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ასოციაცია, საერთაშორისო ცენტრი „განათლება მშვიდობისათვის“, საქველმოქმედო ასოციაცია „მეგზური პრობეთ“ და სხვა...)

ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, რა სიკეთეს იქმნოდა ქნი გუგული ამ ასოციაციათა ასოცირებული წევრობის დროს, მაგრამ ერთი კი მწამს, ლობეყორეს მოდებით რომ ნამდვილი საქმე და ქვემარტივი აზრი არ გამოდნება, ეს ცხადზე უცხადესია!

ახლა ისიც გავისხენოთ, როგორ ვიდოდა ის პოლიტიკის ცი-

სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“-ო. მაგრამ იმავდროულად „სწავლის მძებნელთ“ ათ ხელობას უხასიათებდა და იქვე მოძლვრავდა: „რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთის მოჰყენი ხელია“, რადგანაც მას კარგად ესმოდა, რომ ყოველივე ცოდნა არაფრის ცოდნის ტოლფასია და პროფესიონალიზმისგან ერთობ შორსაა. ამასთანავე, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ „ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხარების!“ თუმცა, როგორც ირკვევა, ქნი გუგული ამას იზიარებს, ზემოთხსენებულ სამივე პროფესიის ერთად ათვისებას ლამობს და თავის „ცოდნასაც“ ჭკუის გასახედნად არ იყენებს. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ მისგან ვერც ქვემარტივი ფილოსოფოსი, ვერც ფსიქოლოგი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც სამართალმცოდნე დადგა და მივიღო „ჭკვიანი უწინაწინელი“, რომელიც „ვერ მიხედეს, რასაც ნდობობდეს“. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იგი ხან მეცნიერებათა აკადემიის უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, ხან სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია, ხან კიდევ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეა, ხან – საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პრორექტორი, ხან – თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ხან კიდევ – აშშ-ის ჯორჯ მებისონის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი და მისით და მისით... სამსახურებრივი ადგილობრავლობა დიდი ცოდვა არ არის, თუკი ამის ნიჭი და უნარი აქვს ადამიანს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ქნმა გუგულში ვერც ერთ სფეროში ვერ მოიძია ადგილი, თავი ვერ იპოვა და გუგულის ბუნების შესაბამისად ბუდეებს ჩამოეფრინა და ყველგან თითო კვერცხიც დადო სხვათა იმედად. მაგრამ უფროვე გასაკვირი ის ფაქტია, რომ იგი ახერხებდა ერთდროულად ყოველივე უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, სახ. ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე და დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი?!

წინასწარვე უნდა განვაცხადო, რომ დიდად არ მზიბლავენ ის მეცნიერები, რომელნიც, თავისი სპეციალობის ჩარჩოებით შემოსაზღვრულნი, ერისა და ქვეყნის სატყვივარ არ ითავივნებენ. მაგრამ არც იმ მოღვაწეთ ვაფასებ, რომელნიც ლობეყორეს ედებთან, ყველაფრის მცოდნედ და ქვემარტივობის საზომად მოაქვთ თავი. მოკლედ, „არა მჯერა, რომ ჭრიჭინამ კვერცხი დასდოს არწივისა“ და არც ის მწამს, რომ „მწვანე კიტრი გოგრადა იქცეს“.

ერთი სიტყვით და ორი გაგებით, გუგულმა მათი არწივად წარმოიგდინა და ჟამთა ქართი ატორტმანებულმა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან აკადემიას შეუტია და მისი გაბიბრება მოინადინა. ეს მისი „რეფორმატორობა“ დიდად გასაკვირი არ იქნება, თუკი გავისხენებთ, რომ იმ დეფორმატორთა შორის, რომლებმაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაანგრეს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!), ჩვენი ქალბატონი ერთ-ერთი თავგადაკლული აქტივისტი იყო...

მკითხველს უნებურად აღუქვრება კითხვა: არის თუ არა ქნი გუგული იმ დონის მეცნიერი და ღირსებით დამშვენებული, რომ შეეძლოს, ასე ჰაიპარად და მენტორის ტონით ისაუბროს ქართულ მეცნიერებაზე და, მით უმეტეს, აკადემიაზე? თუ მის მეცნიერულ ნაღვანს და განვილი ცხოვრების გზას გავისხენებთ, ვგონებ – არა!

ჯერ ის ვთქვათ, რას უზნობს და რას უწონებს იგი აკადემიის წევრებს: პირველი, თურმე ნუ იტყვი და ისინი თანამედროვე გამოწვევებს ჩამორჩებიან, რადგან თუ სისტემატურად არ მუშაობ, ძნელია ამის მიღწევა.

მეორე, მეცნიერთა განმკვიფრებელი ქალბატონი ბოლომდე არ სწირავს აკადემიკოსებს და მოწყალეების თვალთვალს გადახედვას; ცოდნით არიან, უსახსროდ ნუ დავტოვებთ, პენსიაზე და ნამატი გამოუყოფილი.

მესამე, მაგრამ სხვა საკითხია მეცნიერებათა აკადემია. ჩვენ არ გვაქვს იმხელა ბიუჯეტი, რომ, რაც კი საბჭოთა პერიოდში ინსტიტუტები გვქონდა, ავამუშაოთ, უნდა გაირკვეს, რა გვჭირდება, დაავადებით პრიორიტეტები.

მეოთხე, მთავარია, მეცნიერებმა თავად უნდა მოიძიონ გრანტები, გაყიდონ თავიანთი გამოგონებანი...

მეხუთე, მეცნიერებმა თავიანთი ცოდნა უნდა გაუზიარონ მომავალ თაობებს - სტუდენტებს, რასაც მოჰყვება სწავლების ანაზღაურება...

მეექვსე, არ არის საკმარისი მეცნიერებისათვის, რომ „ვიღაცამ ორი წიგნი გამოუშვა და ვიღაცამ სადღაც ორი სიტყვა თქვაო“...

მეშვიდე, რაც მთავარია, დღეს ამ სფეროში (აკადემიაში - ე.ჯ.) ისევ გვაქვს საბჭოთა სისტემა და ამგვარად მეცნიერებას ვერ ავადლორძინებთ. მისი აზრით, აკადემიკოსებს და მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ შეხვედრის ადგილი, რათა ერთმანეთს აზრი გაუზიარონ, მაგრამ საერთოდ მეცნიერების დარგში სხვა ტიპის სტრუქტურაა საჭირო.

მერვე, ამ ფორმით (ჩვენი აკადემიის ფორმით - ე.ჯ.) შენარჩუნებულია მხოლოდ რუსეთში და ნაწილობრივ უნგრეთში...

ზემოთ მოხმობილი შენიშვნები ისეთ „ბრძნულ“ თვალთახედვას მოიცავს, რომ ნორმალურად მოაზროვნე მეცნიერისთვის ლიმონის მომგვრელია, მაგრამ ქ-ნი გუგულის და მისი „თანამოძრაობა“ შესასმენად რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას.

ჯერ ერთი, ბრძანდებოდა ქალბატონო, აკადემიის წევრთა მიერ ასზე მეტი დანერგილი მონოგრაფია შეიძლება, უსის-

მეცნიერებათა აკადემიის ასობით წიგნი ორად არ მოგვჩვენებოდათ და საერთაშორისო ფორუმებზე წაკითხულ ასობით მოხსენებას ორ სიტყვად არ აღიქვამდით! არ არის გამოირცხული, რომ ამ შემთხვევაში ქვეცნობიერმა ამოხეთქა და საკუთარ მეცნიერულ ნაღვანს აფასებთ, ორი წიგნი და ერთი სახელმძღვანელო თანავადობით რომ ამოინ-ურება!

მაგრამ უფრო გვასოცარი ის არის, რომ ერთგული ლენინელი და მტკიცე რწმენის კომუნისტ ქ-ნი გუგული საზოგადოებას არწმუნებს: „ჩვენ დღეს ამ სფეროში (ე.ი. აკადემიის სფეროში - ე.ჯ.) ისევ გვაქვს საბჭოთა სისტემა და ასე მეცნიერებას ვერ ავადლორძინებთ... საერთოდ მეცნიერების მართვას სხვა ტიპის სტრუქტურა სჭირდება“ -ო. ერთი სიტყვით, თქვა კეისარმა, კართაგენი უნდა დაინგრესო და დაინგრევა კიდევ. და ძნელად სარწმუნო თვალთახედვა უფრო სარწმუნო რომ გაეხადა, ტყუილიც იკადრა: „ამ ფორმით (აკადემია - ე.ჯ.) შენარჩუნებულია რუსეთში, მაგრამ იქ სხვა რესურსებია, ასევე შენარჩუნებს უნგრეთში ნაწილობრივ... ასე პირდაპირ არსად არ არის შენარჩუნებული“.

არ გეკადრებთ 70 წელს მიღწეულ ქალბატონს სიცრუის ღალატისი!. მორიგებით შეგახსენებთ, რომ აკადემიის სისტემა ამ ფორმით შენარჩუნებულია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიის ყველა რესპუბ-

ახლა მე გეკითხებით თქვენ, მორალზე მოფიქრალ ქალბატონო, - როგორ მოვიქცეთ - კაცები ჩავიცუცქოთ თუ ქალები წამოგაყენოთ ფეხზე? აი, ამაზე გმართებთ დაფიქრება და იმის გარკვევა, თუ რომელი პოზა უფრო მორალურია! ხოლო მეცნიერების გარდაქმნაზე ფიქრს კი გირჩევთ, თავი დაანებოთ, ასე აჯობებს თქვენთვისაც და მეცნიერებისთვისაც!

თავის „მეცნიერულ“ შრომაში და თავის მალაღნიჭიერ აზროვნებას აფუძნებს, უპირველეს ყოვლისა, დიდი ბელადის - ლენინის უკვდავ მოძღვრებაზე, სხვათაშორის, ამ მცირე ნაშრომში ის ასერხებს, თორმეტგზის დაიმონწმოს მარად ცოცხალი ბელადის აზრები, როგორც უდავო ჭეშმარიტება, რომლებზეც ეჭვის შეტანას მკრეხელობად მიიჩნევს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი - ლენინი მოგვიწოდებდა, გვებრძოლა ყოველგვარი ფორმით „ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა!“ ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარ შეფასებას და მოწოდებას მოჰყვა მილიონობით ადამიანის და, მათ შორის, ქართველი თავად-აზნაურების დაცხრილება. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ეროვნული (ნაციონალური) ტრადიციებისა და ადამიანური ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ მიუღებელი ბოლშევიკური მონობა, რაც მასონური ფესვებით საზრდოობდა და

ქაოპოპოლონიკიკიკი!

ტემოდ იყოს შექმნილი? მერედა, ერთი მაინც თუ გაქვთ წაკითხული, რომ ახსნადებთ თანამედროვე გამოწვევებს არ პასუხობსო?! არ გაქვთ და ქვევრივით, რასაც ჩაგძახებენ, იმასვე ამოსძახებთ... როგორც ირკვევა, თქვენ, ქ-ნი გუგული, თავადვე გაქვთ აზროვნების სტრუქტურა დარღვეული, მეორეც, მართალია, თქვენდარ „მამულიშვილთა“ წყალობით ქართველი მეცნიერები უსახსროდ და ხელმოკლედ დარჩნენ, მაგრამ მათ ღირსება არ დაუკარგავთ და უღირსთა მოწყალეობას არც არასოდეს მიიღებენ... მესამე, თქვენ ბიუჯეტზე ზრუნებთ და მისი სიმცირის გამო აკადემიის დაფინანსებას საერთოდ უარყოფთ მადლობა ღმერთს, თქვენ არავინ გეკითხებათ აკადემიის სისტემის დაფინანსებას! მაგრამ, ვისაც ეკითხება, მათ გასაგონად ვაცხადებ, ის თანხა, თქვენ რომ გამოუყოფთ აკადემიის სისტემას, სხვა ქვეყნებთან შედარებით ლიმონის მომგვრელია. მაშინ, როცა ჩვენთან მეცნიერების განვითარებისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან მხოლოდ 0,02%-ია გამოყოფილი (27 მილიონი ლარი, აქედან ოდენ 3.750 ათასი ლარი აკადემიას), არ უნდა დაგვაინყდეს, რომ აშშ-ში გამოყოფილია 2,85%, ჩინეთში - 1,84%, იაპონიაში - 3,39%, გერმანიაში - 2,88%. კორეის სახ. რესპუბლიკაში - 4,03%, საფრანგეთში - 2,24%, დიდ ბრიტანეთში - 1,97%, რუსეთში - 1,09%, ტაივანში - 3,02% და ა.შ.* ახლა გაითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ბიუჯეტები და ეს თანხები გადაიყვანეთ დოლარებში (ასე მაგ.: ამერიკა - 429.143 მლნ., ჩინეთი - 208.172 მლნ., იაპონია - 140.537 მლნ. და ა.შ.), აქედან გამომდინარე, ნათლად წარმოიდგენთ, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების კატასტროფა გარდაუვალია. თქვენ, ქ-ნი გუგული, მომჭირნე და ნუნურაქი დოქსახლისივით, გროშებს ახაღლით მეცნიერებათა აკადემიას. თქვენი კუთლი გულის პატრინს ეს არ გეკადრებათ. თქვენ არ გეზარებათ და ჭკუასაც ასწავლით აკადემიკოსებს, როგორ მოიპოვონ გრანტები და როგორ გაყიდონ გამოგონებები... თქვენ მსჯელობთ ისე, თითქოს ამ ცოდვილ მიწაზე სათუთი ფეხებიც არ დაგიდგამთ! თითქოს ისიც არ გაგიგიათ, როგორ გაიქცეოდნენ ეს გრანტები: უპირველეს ყოვლისა, თქვენი მამა-ზეციერის სახელი - მიშკო უნდა გაგეხადათ საფიცრად, წინააღმდეგ შემთხვევაში გრანტს არავინ გაღირსებდათ. ალბათ ისიც გსმენიათ, რომ გრანტების გაცემისას ალბ-მიცემობის პრინციპი იყო გაბატონებული - მე მჭადას მოგიტყვებ, შენ ყველამ იმომიჭირო. ნუთუ არც ის გსმენიათ, რომ გამოგონებისათვის გარკვეული ფინანსები და შესაბამისი ლაბორატორიები საჭირო! ახლა რომ ნიუტონის დრო არ არის, მგონი, დამეთანხმებით! თქვენ, დიდი პედაგოგიური გამოცდილების ადამიანი, ურჩევთ „კოლეგებს“, რომ ლექციები წაკითხონ, სტუდენტები ალზარდონ და ფინანსებიც მოიხვეჭონ. აღზრდის სიავკარგე თქვენზე კარგად მოეხსენებათ აკადემიის მესვეურთ. მაგრამ, თუ არ გამიბრაზდებით, გკითხავთ: სად წაკითხონ?! თქვენი და თქვენისთანა დეფორმატორების მეშვეობით დანგრეულ უნივერსიტეტებში, კოლეჯის სწავლების დონეზე დაბლა რომ არის დაშვებული? მაღლა უფალს, რომ აქა-იქ თუ შემორჩა თქვენდარი მაღალი რანგის პროფესორ-მასწავლებლები, ახალგაზრდობას რომ „ანათლებენ“. ანათლებენ კი? აი, რა მაინტერესებს.

ლიკაში, ლიტვაში, ესტონეთში, უკრაინაში, პოლონეთში, უნგრეთში, ავსტრიაში და სხვ. ამ თავმოუბმელ ქვეყანაში ერთი კი გამკვირვებია: პირში წყალჩაგებულ ქალბატონს რა გეტაკათ ისეთი, რომ პირდაპირ აკადემიას აღიზრდით? იქცემა მაგარა - ეს ამბოხი პირადი წყნით ხომ არ არის ნასაზრდოები-მეთქი. და უნებლიეთ ის ფაქტი გამახსენდა, როცა 2009 წელს მოინდომეთ აკადემიის წევრობა, მაგრამ არჩევნებში ჩაფლავდით!. თუმცა, თქვენი დიდსულოვნების გამო უმაღლესი მოწოდებით ეს აუცილებელი და უფრო სერიოზული და სარწმუნო აზრი დამებადა: ქ-ნი გუგულის ცხოვრების გზას თუ ჩაუკვირდებით, მას ამოძრავებს სოროსულ-მასონური იდეოლოგია, რომელიც ვერბალურად ებრძვის საბჭოთა სისტემის გადმონაშთებს, სინამდვილეში კი შებრთვული ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ვინაობის, თავისთავადობის და ქართული სახელმწიფოს გასანადგურებლად.

თუმცა, პირადად მე მაინც გამოაცა იმ ფაქტმა, რომ თქვენ, თხემით ტერფამდე კომუნისტმა, ბოლშევიკური იდეოლოგიის ბაირასტარმა, როგორ იცვალეთ სახე და ტყავი და მოულოდნელად მოგვევლინეთ გლობალურ-ლიბერალური იდეების მქადაგებელ ქურუმად!..

მკითხველმა რომ არ იფიქროს, თითქოს ქალბატონს რაიმეს უფრონებ და ვაბრალე, იძულებული ვარ, მის მცირე მოცულობის წიგნს „ახალი ადამიანის აღზრდა და ჰარმონიული განვითარება“ (თბ., 1983 წ.) თვალს გადავავლო.

ვინც კი თავს ძალას დაატანს და ამ „ნიგუნკას“ წაკითხავს, დარწმუნდება, რომ ქ-ნი გუგული მალრადის სახით ჩვენ გყავდა კომუნისტური მშენებლობის ერთგული ჯარისკაცი, მარქსიზმის უერთგულესი მიმდევარი, ლენინის და ფიდელ კასტროს იდეებით მოაზროვნე და, რაც მთავარია, სკკპ ყრილობების და დადგენილებების თავგადაკლული ადვოკატი.

სიტყვა რომ არ გამიგორმელდეს, მოკლედ მოგახსენებთ, რომ მეცნიერის აზრით, „კომუნისტური მშენებლობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ახალი ტიპის ადამიანი, ყოველმხრივი და ჰარმონიულად განვითარებული. არსებითი ადამიანური ძალების თავისუფალი გამოვლინება არის კომუნისტური მშენებლობის აუცილებელი პირობა. მარქსიზმი ადამიანის პიროვნებაში ხედავს უმაღლეს ღირებულებას“...

სწორედ ამ თეორიის (რომელიც ისტორიულმა სინამდვილემ კარგა ხანია, გააქარწყლა!) დამტკიცებას ცდილობს იგი

რაც დღესაც, გლობალიზაციის ლაგამანყვეტილობის ჟამს, აქტუალურია. ჩვენი ლენინელი გუგული მალრადი კი მას თავის დროზე და, ალბათ, ახლაც მალაღნიჭიერად მისი მშენებლობის ანიჭებდა და ანიჭებს და დღესაც გემოძვარავს: „აღზრდის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებისათვის ლენინის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ამ „ყველაზე საშინელ ძალებზე“ გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნეს საზოგადოების ხანგრძლივი, მიზანმიმართული და მეცნიერულად დასაბუთებული გარდაქმნის პროცესში“! როგორც ირკვევა, ჩვენ გუგული მალრადის წინაშე, რომ ლენინი არ მომკვდარა და დღესაც ცოცხალია. ყოველ შემთხვევაში, ის ლენინის მონობისამებრ ბოლშევიკური შემართებით, ოლონდაც უკვე მასონურ-ლიბერალური ფრთებმოსხმული, ცდილობს აღზრდის პრობლემების, განათლებისა და მეცნიერების სისტემის მისთვის საკადრის დონეზე გარდაქმნას!

თხემით ტერფამდე ბოლშევიკ ქალბატონს რომ ლენინის უკვდავი სახე თან სდევდეს, ასე თუ ისე გასაგებია, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ის სზირად იმონებს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილებებს და მასალებს, რომელთა შესაბამისად ადგენს, თუ „როგორი ადამიანია საჭირო დღეს - განვითარებული სოციალიზმის დროს: „ის, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს „კომუნისტური რწმენის მქონე“, მას უნდა ჰქონდეს „საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულება“, „მიზნის მიღწევისათვის სუბიექტური და ობიექტური სიძნელების გადალახვის უნარი“; უნდა იყოს „ფიზიკურად . . . ძლიერი, ჯანმრთელი, გამონათობილი, ყოველივე ამის მიღწევა კი შეიძლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემით“, „სოციალური აქტივობით და კოლექტივიზმით“, „ინტერნაციონალიზმით და პატრიოტიზმით“, „ცხოვრების საბჭოთაო სტილში“, „სოციალისტური შეფიქრებით“, „კომუნისტური შაბათობებით“ და მისით და მისით... და, რაც მთავარია, ეს არ უნდა იყოს სტიქიური, არამედ „უნდა იყოს დაეგმილი, ორგანიზებული და მიზანმიმართული პროცესი, რომელიც ხორციელდება პარტიის ხელმძღვანელობით“... ვგონებ, აზრის უფროეუ სარწმუნოდ მისაღებად თუ ქ-ნი გუგული იმდერებდა „დიდება პარტიას“, კარგი იქნებოდა!.. მით უმეტეს, თუ გაიხსენებთ, რომ ის გუგულივით ტკბილად ღულუნებს.

ჩვენთვის ისიც გასაგებია, რომ აღმზრდელი პედაგოგი და მკვლევარი „რთული პრობლემის“ ასახსნელად იყენებს ენგელსისა და პლენანოვის შრომებს. მაგრამ ერთობ გამკვირვებია (თუმცა, მისგან არაფერია გასაკვირი!), რამ გაახსენა ფიდელ კასტრო და კუბის პირველ ყრილობაზე მისი წარმოთქმული სიტყვა, რომლითაც მან დაგმო „მომხმარებლობითობის მეშინაზურ ფსიქოლოგია“ და გააკრიტიკა „სოციალური მსოფლმხედველობა და უაზრო სურვილები, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის რომ არის დამახასიათებელი“.

ერთი სიტყვით, ამ შრომით ქ-ნი გუგული საშობის შემოეღიჯა და მთლიანად გააშინებდა თავისი ბოლშევიკური ფიზიონომია, რომელიც მის მეცნიერულ არსს და მიზნებს ცხადად წარმოაჩენს. ოლონდაც, აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ეს გამოანაკლისი შემთხვევა გახლავთ, როცა მოფრთხილვ გუგულმა ბოლშევიკური ბუდე კი მიატოვა, მაგრამ გული და სული ამ ბუდეში ჩადებულ კვერცხს ჩააყოფნა-ჩააგვირისტა...

ილიზბარ ჯაბიძე, 30/XII, 2014 წ.

* 2011 წლის მონაცემებია მოხმობილი, დღესდღეობით ციფრები უფრო შეთანხმებულია.

რუს წერეთ, რუს აზროვნება ჩვენზე

პატარა საქართველო უკრაინის სიტუაციაზე გაკლენას ახდენს

საქართველოში, რომელსაც იაპონიაში განხილავდნენ ქვეყნის ინგლისურენოვანი დასახელების შეცვლის პრობლემასთან დაკავშირებით, შედარებით მშვიდად შეხედდნენ ახალ წელს. 2014 წლის შემოდგომაზე მეორეჯერ ვიყავი საქართველოში. მიუხედავად თავდაცვის მინისტრის შეცვლისა და მმართველი პარტიის რეორგანიზაციისა, 2014 წელს არ ყოფილა სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები ორი წლის წინათ ხელისუფლების შეცვლასთან და 2013 წელს ახალი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის არჩევასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, იქ ხდება მოვლენები, რომლებიც გვაიძულებენ, ვიგრძნოთ გეოპოლიტიკური ცვლილებები ევრაზიაში, მათ შორის, უკრაინის კრიზისის გავლენაც, ქვეყნის დანგრევისა და ნაციონალიზმის პრობლემებიც.

მაგალითად, „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელთა შორის არის საქართვე-

დასახელების შეცვლის პროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე წინააღმდეგი ვარ რაიმე ცვლილებების შეტანისა აუცილებლობის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია, სახელწოდება „ჯორჯია“ გავრცელდებოდა ამგვარი კულტურული და ეკონომიკური ფენომენის შედეგად.

2014 წლის შემოდგომაზე საქართველოში ასევე გაიზარდა იაპონელი ტურისტების ოდენობა თურქეთისა და ყაზახის ავიასახელების რეისების წყალობით.

ამ შემოდგომით დაგვტკბი საქართველოში შემოდგომის ფერებით. ვფიქრობ, რომ გაცვლა კულტურის, ხელოვნების, ტურიზმის, აგრეთვე გასტრონომიის სფეროში დიდ პლუსებს მოუტანს იაპონიასაც. ამიტომ იმედი მაქვს, რომ ურთიერთობანი ჩვენს ქვეყნებს შორის განვითარდება.



ლოდან ჩამოსული პიროვნებაც. იმისთვის, რომ მოვხდინოთ გავრცელებული წარმოდგენების კორექტირება ორი მხარის დაპირისპირების შესახებ, აუცილებელია ყურადღებით გავანალიზოთ მოვლენები, რაც ამ პატარა ქვეყანაში ხდება, ქვეყანაში, რომელიც ფიქრობს 2015 წელს ევრაზიულ პოლიტიკაზე. ამ დროს ღრმად ვხედავთ ურთიერთობანი იაპონიასა და საქართველოს შორის, ამიტომ თავდაპირველად მინდოდა ამ თემას შევხებოდი.

კულტურული გასვლის დაჩქარება

სსრ კავშირის დროიდან იაპონური კულტურა საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქართული ინტელიგენცია ხშირად განიხილავს მონძაემონ ტიკამაცუს, რიუნოსიკე აკუტაგავას, კობო აბეს და ნაგისა ოსიმას ნაწარმოებებს. 2014 წელს საქართველოში გაიმართა კაბუკის თეატრის გასტროლები, რომელიც აქ დიდი წარმატებით სარგებლობს.

იაპონიაში ასევე განიხილავენ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსთან. 2014 წლის შემოდგომაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სიხარულით იტყობინებოდნენ ქართველი სუმოსტის ლეგან გორგაძის კარიერის განახლების შესახებ. ამას გარდა, თუმცა ეს იაპონიისთვის არასასიამოვნო თემაა, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაგბიში მოიპოვა გამარჯვება იაპონიის გუნდთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა სულ რაღაც 4 მილიონ კაცს შეადგენს, იქ სპორტი კარგადაა განვითარებული.

ასევე ღვინის ფესტივალზე ტოკიოში წარმოდგენილი იქნა ქართული ღვინოები. ღვინისძიებაში ბევრმა მეღვინემ მიიღო მონაწილეობა საქართველოდან.

ზემოთ შევხე ქვეყნის ინგლისურენოვანი

გეოპოლიტიკა ევრაზიაში და საქართველო

ამით მინდოდა დამემთავრებინა საახალწლო თემები, მაგრამ, რასაკვირველია, ჩემი საუბარი საქართველოს შესახებ ამით არ შემოიფარგლება.

სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, რომ პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში სტაბილური გახდა. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ კიდევ შეიძლება განვიხილოთ. მაგალითად, კონფლიქტი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ამას გარდა, ჩემი ყოფნის დროს ხდებოდა ორი დიდი პრობლემის მუსირება.

ეს პრობლემები გვაიძულებენ, ჩავუფიქრდეთ საქართველოს ბედს, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიცია უკავია ევრაზიაში. პირველი მათ შორის შეეხება სიტუაციას უკრაინაში.

დეკემბრის შუა რიცხვებში დაიღუპნენ ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც მონაწილეობას ლეზულობდნენ კონფლიქტში მთავრობის მხარეზე. აქ ხშირად საუბრობენ სახიფათო სიტუაციის შესახებ.

იაპონიაში აშუქებენ უკრაინის კრიზისს სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ მეტად რთულია, სწრაფად გაერკვე შემთხვევებზე ვითარებებში.

საქმე ისაა, რომ უკრაინის მინისტრთა კაბინეტში არიან გამოსულები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ლიტივიდან და საქართველოდან. უკრაინის ჯანდაცვის დაცვის მინისტრს ალექსანდრე კვიტაშვილს ეკავა ანალოგიური თანამდებობა საქართველოში სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ის გადადგა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მაგრამ მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და დაიკავა მნიშვნელოვანი თანამდებობა უკრაინაში.

თავად სააკაშვილმაც მაშინ განაცხადა იმის შესახებ, რომ მას შესთავაზეს უკრაინის მთავრობაში ვიცე-პრემიერის თანამდებობა, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვი-

ნაიდან არ სურდა, დაეკარგა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაზე გახდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.

ბუნებრივია, ამჟამინდელი მთავრობა სდევნის მიხეილ სააკაშვილსა და მის დაახლოებულ პირებს, რომლებიც აპირებენ, დაიბრუნონ ხელისუფლება.

გარკვეულწილად ეს მოვლენები დაკავშირებულია სიტუაციასთან უკრაინაში, მაგრამ არ ღირს ისინი განვიხილოთ, როგორც უბრალო დაპირისპირება პროამერიკულ და პრორუსულ აქტივისტებს შორის.

საბალოების დაშუქება და კეპლების შენარჩუნება

კიდევ ერთი პრობლემა, რამაც აქტიური განხილვა გამოიწვია, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში ბოლნისის რაიონში საყდრის საბადოების დამუშავებაა.

ოქროს მოპოვების შედეგად ხდება იმ მაღაროს ნგრევა, რომელსაც ქართველი მეცნიერები განიხილავენ, როგორც მსოფლიოში ოქროს ყველაზე ძველ საბადოს, მიაჩნიათ იგი კულტურის ძეგლად. მეცნიერები ამ საბადოს დამუშავების წინააღმდეგ გამოდიან. კონფლიქტი ასევე პოლიტიკურ ველზე გადავიდა.

